





# 29 მაისი მეგრული ენის დღეა, რასაც ვულოცავთ სრულიად საქართველოს და ყველა ქართველს!

ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რეკომენდებული 114 ათასამდე სიტყვას ითვლის. ზოგიერთი „ენათმეცნიერი“, მეგრულ ენას ქართულის დიალექტად მიიჩნევს, მაშინ როცა მეგრული ენა მრავალმილიონ სიტყვას მოიცავს. იბადება კითხვა: როგორ შეიძლება მრავალმილიონიანი სიტყვის მფლობელი ენა მრავალათასიანის დიალექტი იყოს?

უფრო მართებული იქნება განვაცხადოთ, რომ ქართული ენა წარმოადგენს იბერიულ (მეგრული) ენის კილოკავს. ამ მოსახერხებლად არც ობიექტურად განწყობილი ქართველი მეცნიერები უარყოფენ, რომლებზედაც ქვემოთ გვექნება საუბარი.

**„ქართლის მოქცევის“** მატეანის ცნობით ქართლები აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელის დროს გამოჩნდნენ, როდესაც ალექსანდრემ მტკვრის ნაპირები დაიპყრო. ამ ხანიდან დაიწყო ჰეგემონიისათვის ბრძოლა იბერთა და ქართლებს შორის. ექვთიმე თაყაიშვილი თავის ნაშრომში „როდის შეიცვალა იბერთა სახელმწიფო ქართულ სახელმწიფოდ?“ – წერს: „ქართველმა მთელი აღმოსავლეთ საქართველოს მეთაურობა ვერ ჩაიგდეს ხელში, მაგრამ შესძლეს გამოყოფა იბერებისაგან და შექმნეს არმაზის „სეპარატისტული სახელმწიფო“. დროთა განმავლობაში იბერთა მოძლიერების შედეგად არმაზის სეპარატისტული სახელმწიფო იძულებული გახდა კვლავ დამორჩილებოდა მცხეთის იბერთა სამეფოს. მიუხედავად ამისა, ბრძოლა ჰეგემონიისათვის არ შეწყვეტა და იგი რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა. ექვთიმე თაყაიშვილი ზემოთ აღნიშნულ ნაშრომში წერს: „იბერთა და ქართველთა ტერიტორიის საზღვარი ჯერ საძიებელია, მაგრამ საგარაუდოა, რომ ქართველს იბერებისგან ჰყოფდა, საზოგადოდ, მტკვარი: იბერებს ეკუთრათ ამ მდინარის ჩრდილოეთით მდებარე მხარე. მცხეთა იყო იბერთა თავი ქალაქი, ხოლო არმაზი ქართლის ტერიტორიას ეკუთვნოდა“. ასე და ამჟამად, ამ არეალში ჩნდება შერეული მოსახლეობა და საუკუნეთა განმავლობაში იბერიულიდან ყალიბდება ქართული კილოკავი.

აღნიშნულ ტერიტორიაზე ქართლის სრული ჰეგემონია მყარდება VI საუკუნის პირველი მეოთხედის ბოლოს, სპარსელების ვერაგული პოლიტიკის დახმარებით.

„მეექვსე საუკუნემდე ბერძენ-რომაელთა ისტორიკოსები და საზოგადოდ უცხოელი მემკვიდრეები და მწერლები აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე მარტო იბერთა სახელმწიფოს იცნობდნენ, იბერთა მეფეებს იხსენიებდნენ, ხოლო ქართლის სამეფოს, სახელს „ქართლი“ და საზოგადოდ „საქართველო“ მათთვის უცნობია (იქვე).

როგორც ისტორიულად ცნობილია პირველად ქრისტიანობა საქართველოში ქრისტეს მოწაფეებმა – ანდრია პირველწოდებულმა და სვიმონ კანანელმა იქადაგეს და ისინი ჩვენს ქვეყანაში შემოვიდნენ შავი ზღვისპირეთიდან ე.ი. კოლხეთის ტერიტორიიდან. რა ენაზე იქადაგეს ქრისტიანობა მოციქულებმა? ჩვენთვის ცნობილია, რომ ქრისტეს ხელდასმულ მოწაფეებს სულიწმინდისგან ებოძათ ყველა ენაზე მეტყველების უნარი, ამდენად მათ კოლხეთში ქრისტიანობა კოლხურ, ანუ მეგრულ ენაზე იქადაგეს და არა ალგილობრები მოსახლეობისთვის გაუგებარ ენაზე.

ამ რამდენიმე წლის წინ, მეგრული ენის არცთუ ისე მოწაფე მთავარეპისკოპოსმა ანანია ჯაფარიძემ გამოსცა წიგნი „შობა, ჯვარცმა, აღდგომა და ამადლები უფლისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტისი“, სადაც ვკითხულობთ: „ათონის წმინდა მთაზე, ივერონის მონასტრის ბერები ძველად წირვისას იმეორებდნენ იმ საგალობელს, რომელსაც ჩვენ იესო ქრისტეს ყოვლადწმიდა ღვთისმშობელი უგალობდა: – წირვის დიდი გამოსვლისას. შესაბამის საგალობელს მარცხენა გუნდის ბერები მგალობელი ურთავდა მისამდერს. ყველა-სათვის გაუგებარი სიტყვებით, რომელთა შორის უმთავრესი იყო „ნენანა“. ბერძენ მომღერალთა სწავლებით „ნენანა“ იგა-

ლობდა მოსახსენიებლად ღვთისმშობლისა, რომელიც ამ „ნენანას“ უგალობდა აკვანთან ღვთაებრივ ჩვილს თავისას“ (არქიმანდრიტი პორფილი პირველის მოგზაურობა ათონის მონასტრებსა და სკიტებში, ნაწ. 1, გვ. 71).

„ნენანას“ მხოლოდ ქართულ სამყაროში მღერის დედა თავის ჩვილს, – წერს მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე და იქვე დასძენს, – „ამიტომაც ეს სიტყვები უცნაურია სხვა სმენისათვის, მაგრამ უცხოელ ბერებს ის დაუცავთ, რაც მიუთითებს ისრაელსა და მის ჩრდილოეთით მცხოვრებ ხალხებს შორის მჭიდრო კულტურულ კავშირზე, ისრაელის ჩრდილოეთის გაქცეული ქვეყნები – კაბადოკია, პონტო, კოლხეთი და იბერია – ქართულ სამყაროს წარმოადგენდა დასახლებული ქართულად მოსაზრებ ტომებით, რომელთაგან მრავალი თანდათან ასიმილირდა სხვა ხალხებში“.

მთავარეპისკოპოსი სინამდვილეს ამა-ხინჯებს, როცა ახსენებს იმ არეალში „ქართულად მოსაზრებ ტომებს“. იმდროინდელი კოლხეთი, იბერია, კაბადოკია, პონტო კოლხური არეალი იყო და არა ქართლური. ნანინა და ნენინა მეგრულია, ნანა მეგრულად დედას, ნინა ქართულად იგი ნენანას ნაცვლად დედას იქნებოდა. ერთი მღვდელმთავარი ამტკიცებდა „ნენა“ გურული სიტყვაა. მე მას ვურჩევ წაიკითხოს იაკობ გოგებაშვილის „საგანძურის“ პირველი ნაწილის 294-295 გვერდები, სადაც ჭანჭანბე მოთხრობილი და ამავე დროს

დრამატურგიაში – კუბელის, ფილოსოფიაში – როზენბერგის... მასშტაბურებით ამათვერ შევადარებ, მაგრამ ცხოვრებაში, პოლიტიკაში, მეცნიერებაში ხელმოცარულმა ადამიანებმა, მეგრული ენის დაკნინებისა და არარსებული სეპარატიზმის „აღმორჩენის“ მცდელობით სცადეს გულდამწვარი პატრიოტის იმიჯი შეექმნათ თავიანთი თავისთვის და ამით ხალხის ყურადღების ცენტრში ყოფილიყვნენ. ისინი ხანდახან ასეთი ვირეშმაკობით საწადელსაც აღწევენ: შეცდომაში შეყვანთ საქართველოს პატრიარქი, თითქოსდა სამეგრელოში რაღაც ანტიეროვნული ამბოხება თუ რაღაც ჯანდაბა მზადდება და შეშფოთებული პატრიარქიც რეაგირებას ახდენს არარსებულ საშიშროებაზე.

მეგრული ენის დღის აღნიშვნა არამც და არამც არ არის ანტიქართული ქმედება. პირიქით, ვისაც საქართველო უყვარს და უყვარს ქართული ენა, პატივს უნდა სცემდეს კოლხურ-იბერიულ ენას, კაცობრიობის ამტკიცებლების ხანიდან აქამდე მოღწეულ ღაზარებს ენას, რომლის ფესვებიდან ამოიზარდა ქართული სახელმწიფო და ქართული ენა. თუ ვინმეს სხვაგვარად მიანინა, მას ეჭვი ეპარება ჩვენს ნათესაურ წარმომავლობაში და ნებისთნე უნებლიედ გვიმტკიცებს სრულიად საპირისპიროს, რომლის იქით დგას არა კულტურული, სულიერი, სისხლისმიერი ნათესაობის, არამედ ძალმომრეობით და იძულებით შექმნილი ქვეყანა, რომელიც ადრე თუ გვიან

## მეგრული ენა სიყვანთა ოქანა ბიორბი სიჭინავა

გურულების წარმომავალსაც ეხება. თუ კითხვა დაეხარა მოკლე ამონარიდს აქვე გაეაცნობ: „ჩვენი პატრიარქული ისტორიკოსის დიმიტრი ბაქრაძის აზრით, ახლანდელი გურულები მეგრულნი არიან, მხოლოდ დროთა ვითარებით სრულიად გაქართველებულნი“. ალბათ გასაგებია ნენა რატომ არის ერთნაირი მნიშვნელობის მატარებელი სიტყვა მეგრულად და გურულად.

„მეხუთე საუკუნის დასაწყისში“, – წერს ზემოაღნიშნულ წერილში წმინდა ექვთიმე თაყაიშვილი – „საფუძველი ჩაეყარა ქრისტიანულ ლიტერატურას, ეს ლიტერატურა აღმოცენდა გაბატონებულ იბერთა კილოკავზე. ხოლო როდესაც სახელმწიფოს სათავეში იბერების მაგიერ ქართველი ანუ ქართლები მოექცნენ, მათ იბერთა ლიტერატურა თანდათან გადმოაქართულეს და ქართლის კილო გახდა ქართველი ერის სალიტერატურო ენად“.

„მეგრული ენა არის მეგრული ენა. ის არც კილოკავია და არც დიალექტი“. – წერდა დიდი მეცნიერი ნიკო მარი. იგივეს გვიდასტურებენ დიდი ქართველი ენათმეცნიერები იოსებ ყიფშიძე და ალექსანდრე ცაგარელი.

მეგრული ენა (კოლხურ-იბერიული) თავის აურაცხელი სიმდიდრით რჩება დღევანდელი ქართულის დედა ენად, რამეთუ მისი წილიდან იშვა ჩვენი სალიტერატურო და სახელმწიფო ენა, რასაც ქართული ენა ჰქვია. ამის ცოდნა და აღიარება საქართველოს კი არ დაშლის, არამე უფრო შეამჭიდროვებს და მონოლითურს გახდის მის ერთიანობას. ამ ერთიანობის წინააღმდეგ ორი კატეგორიის ადამიანები იბრძვიან გააფთრებით. ესენი არიან: არაქართული წარმოშობის „ქართველები“ (ქართული გვარის მატარებელი არაქართველები) და დიდი პრეტენზიების მქონე ხელმოცარული ადამიანები.

ისტორიულად ყველაზე დიდი უბედურება პატივმოყვარე ხელმოცარულებმა დაატყვევეს თავიანთი ქვეყანას და არამარტო თავიანთი ქვეყანას, ცნობილია, რომ კარლ მარქსმა თავდაპირველად პოეზიაში მოსინჯა კალამი და მისმა მდარე ლექსებმა საზოგადოებაში არავითარი ინტერესი რომ ვერ გამოიწვია, გაბოროტდა და ღვთისმგობელი გახდა. წარუმატებლობამ ვერწერასა და არქიტექტურაში შვა პიტლერი,

## ლაშა გახარია ოდაბადე

ცა ოჭმარეს ზესქვე გილახე, ცა ონჯუას – მეღაღური... სქანი ოცქვეფურქ ვამათქუნი, კონქ თაში მუჭო ელაბღური?! ვართ მასქურო ეშმოლ შურქუ, – ქიგნორქე თუმასგნი; სქანი უჯგურო მის ურქე, – ცაში მუ მეულუ კუმასგნი... ნარღიში ცასე გილაფონქე პირსელიში მუშუღაჯგუა, გენაყია სამარგალოს ჯგვრობუას უქურხუა. ირკონიშმიმენელ რექე, გონჯღორე სუმარუა: ჭყოლირე გურიშ ლეცერ რექე, – ღურუს ცურუს უვარუა. სქანი წყურგილეფე ვამკოროცხე, ჩხორო რე ვარე ვითოჩხორო, ნამუთე გურშე მორფუნსცუნე, – თის მეუხე ქეითორე ჩხომო. ანწი ვარენო ქომკითხენქედა, – ქიგლულუ, ქიგლებლანორგქ – ოში ქიანა მიბლი, – მარა ნამთინიშა ვამთირუქე. \* \* \*

**ჭარა**  
არკვანიშე გემამსსუხე, ქომხუტოლე ჩხე ხურხიშა, ნირსი თუმათე გაკოფქმტი, ვეგმონჯირე ჩქიმე ხუჯიშა. თოლწოხ აწმაკილოთქე, ცურუ მერცუნქ ანთარიშა, მუ შურდგე მუს აწარინე სქანენრე უნძე თანთარიშა. დიდაში ბუბუ მიდამლი დო სქანი მოწენე ტუობტყობიშე, მუთე ქალმოფუცქინინი, ირფელე ართოქობორდინე. ზღვაში ჩუპაშე მიჯინექე, მინშახი – ემერე, ცაქინჯიშე; სქანი ნაჟამას მუში გემოშა ვართე აჭარე, ვართე აჭყიშე; \* \* \*

დიო მითინც ვეშანწყინე, ქითქუასე მართალქენი, ქოთომიში კარკალიშა სო იკვარკვალე მარქვალქენი. ვარა, კონქ სო ერჩინდე ჩექ უნაქ და ჭარბაქენი, სებათახალე ართი მიჩქე, სო ეფალე მარგალქენი; ათაქე, ბაბა, ათე განცე, ათე წვრხელე ლაკადსე, სოდეთე ცოდუმე არამხხუტუ ნდემეფც ურქენდ ლაკეატასე, სოდეთე უნა ზღვა მიაბირც ჭალეფც, თუთაში ნახანტასე, დო ხასლეფი ასახსრსხალე გეკლფეც, – ჯიშით ნაწყათასე; ათაქე ერჩინდ მარგალქე დო თაქე გოჭვარუ ჭვერე ბურჭულქე, ოჭკადე რეში ნორცხეცალო გელაკურცხუ თოლც ჩურჭულქე, ჯაქე ბინეხი ქიმოჭყულუ, გენოჭყულუ ჭყელი უჭყუქუ ზესქვის ბირა გაჭყოლილე გურმჭყოლირი მეღურჭულქე. მარგალი კონი შურდგე რე, ქოთე მაბირე, ქოთე მოხანდე, მეჯინელო – ოხვამაში კე დალაშა მოიხანტე. მა ვართე შოთა გოხოლეფე, ვართე შექსპირი დო ვართე დანტე, თიში შურე დო ნურე გეპჭარე დო ქადარდიშა გეგნოპქანტე. უსორც მუში ოხეკარი სქეამას გინოქურჩეფი, მუთე უღურე-მუში უფი რე, მეტი ხეადე, გურე გურენი. ირეკონიში მენძელი რე, – მენძელობათე ვარე რძელე, საქორთოშ ირე კუნთხუში ცოროფა ჭუნცუ ურჩხეფი. სამარგალო საქორთოში გორგალი რე უდგოაკე, ტყურათე ვაუქონუას ვართ გერქ დო ვართე ტურაქე. გურე ვაჭყოლას უღუნდელე, დანებაქე დო ტყურაქე, მის გუგონებუ გეხარენი ჯიმაქე – ჯიმა ნაღურაქე?! \* \* \*



# მერაბ კოსტავა რვენი ღროის თავისუფლების რაიონი



**„მმანო და დანო, საქართველოს ისტორიაში ყოფილი დიდებული წამები და ეს წამი არის ერთერთი უდიდებულესი, როდესაც ამ 70 წლის მაძილზე, ამ ტანჯვასა და ვეებაში, ამ სისხლისღვრაში პირველად ასე შეერული, ასე მთლიანი წარმოსდგა ქართველი ერი ღვთის წინაშე.“**  
**მერაბ კოსტავა**

ჩვენი მრავალტანჯული ქვეყნის არსებობის ხანაში არის ისეთი დღეები, რომელიც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ოქროს ასოებით არის ჩაწერილი. ასეთი გახლავთ 26 მაისი. მე-20 საუკუნეში რომ არ ყოფილიყო ეს დღე, ეს საუკუნე ბნელით იქნებოდა მოცული. ეს ის დღე გახლავთ, რომელმაც ნათელი მოჰფინა სრულიად საქართველოს, რადგანაც ეს თარიღი დაკავშირებულია ქვეყნის თავისუფლების იდეასთან და ამ იდეის რეალობად ქცევასთან.

26 მაისი საქართველოს პირველი რესპუბლიკის დაბადების დღეა. 1918 წლის 26 მაისმა ქვეყანას საუკუნეების ნანატრი თავისუფლება მოუტანა.

1939 წლის 26 მაისი საქართველოს ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების დღეა. საგულისხმოა ისიც, რომ 1991 წლის 26 მაისს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პირველად ჩატარებულ რესპუბლიკის პრეზიდენტის საყოველთაო არჩევნებში, ქართველმა ერმა, ხმების უმრავლესობით პრეზიდენტად ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის პატრიარქი ზვიად გამსახურდია აირჩია და ამ ორი პიროვნების ოცდათხუთმეტწლიანი უკომპრომისო ბრძოლა გამარჯვებით დაგვირგვინდა. 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტმა ჩვენს შთამომავლობას, ოთხმოცდაათათასიან კვადრატული კილომეტრის, ისტორიულ საზღვრებში მოქცეული ქვეყანა დაუტოვა და მაშინდელმა მსოფლიომ – „ერთა ლიგამ“ საქართველოს რესპუბლიკა სცნო, როგორც დამოუკიდებელი

ერტიანი სამართლებრივი სახელმწიფო. შემდეგ კი, ნაბიჯ-ნაბიჯ ტერიტორიების თანდათან ჩაბარება-გასხვისება მიმდინარეობდა, ბოლო 22 წლის (1992 წლიდან დღემდე) მანძილზე კი მასშტაბები ბევრად გაიზარდა. ისიც უნდა აღინიშნოს საზგასმით, რომ დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის ყველა პოლიტიკურმა შტომ, დამფუძნებელი კრების ჩათვლით, საბუნდევროდ, არცერთმა მათგანმა, ღვთის განგებულებით, კაპიტულაციასე ხელი არ მოაწერა და, ამიტომაც, ასეთი ბნელი ხანის შემდგომ, ეროვნულ-გამათავისუფლებელმა მოძრაობის ლიდერების, ზვიად გამსახურდიასა და მერაბ კოსტავას დაუღალავი ოცდათხუთმეტწლიანი ბრძოლის შედეგად, 1991 წლის 9 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა, რომელიც ერთა ლიგის სამართალმემკვიდრე გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ აღიარა. ყოველივე ამას კი წინ უძღოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ძალი-ისხმევა.

იმისათვის, რომ საქართველოს, 1921 წელს ერთა ლიგის მიერ აღიარებული ტერიტორიების სამართალმემკვიდრეობა არ დაეკარგა, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ, 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმზე, 1918 წლის დამოუკიდებლობის აქტის საფუძველზე, საქართველოს მოსახლეობის წინაშე საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხი დააყენა და ამით მომავალ თაობებს და მსოფლიო ცივილიზებულ სამყაროს საქართველოს, როგორც ერთიანი ისტორიული ტერიტორიების მფლობელი ქვეყნის ახალ სამართლებრივ სივრცეში მოქცევა აუწყა.

გვჯერა და იმედს გამოვთქვამთ, რომ 1991 წლის 9 აპრილს, დამოუკიდებლობის გამოცხადებელი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო არ წამოეგება საოკუპაციო ადმინისტრაციის მიერ დაგეგმულ მზაკერულ ანკესზე და საოკუპაციო ადმინისტრაციასთან არავითარ გარეგანზე არ წავა, ხელს არ მოაწერს კაპიტულაციას, რითაც ეს უმნიშვნელოვანესი, სახელმწიფოებრივი, ისტორიული ტერიტორიების საზღვრების დამცავი შექანიზმი ხელშეუხებელი იქნება და საქართველოს ტერიტორიები საერთაშორისო და ეროვნული კანონმდებ-

ბლობის შესაბამისად, კვლავ ჩვენი ქვეყნის კუთვნილებად დარჩება.

ისტორიული დამთხვევაა ისიც, რომ საქართველოს თავისუფლების ამ უდიდეს დღეს, 26 მაისს, იშვა თავისუფლებისათვის მებრძოლი რაინდი მერაბ კოსტავა. პირთუნელი თვისებების პატრონმა თავისი ცხოვრება მან, როგორც უდიდესი ყოველმხრივი ნიჭი, სულიერება, ისე უზომოდ დიდი განათლება სამშობლოს თავისუფლებას მიუძღვნა და საკუთარი თავის უარყოფით პირად კეთილდღეობას სამშობლოსათვის მსხვერპლად შეწირვა არჩია. ისე, როგორც მან მიუძღვნა სხვათათვის შეწირული, სიკვდილთან პირისპირ მიმავალ გურამ რჩეულიშვილის დიდებულს სულს ვაჟკაცობის ოდა, მისივე სიტყვებით თუ ვიტყვით, მისმა **“თავგანწირულმა სულისკეთებამ” თვითონ მოხაზა უზარმაზარ სიმძლევზე გოლგოთის სურათი**, რითაც ქართველი ერის მქსიერებაში დარჩა მე-20 საუკუნის იმ გმირად, რომელსაც სხვათა ვაჟკაცობის დანახვა და მისთვის ხოტბის შესხმა შეუძლია.

მერაბ კოსტავა ვერავითარმა ბოლშევიკურმა ჯურღმულებმა ვერ გატყვეს და თავისი უკან დაუხველობით და სამშობლოს უდიდესი სიყვარულით, ზვიად გამსახურდიას ქრისტესმითვის ძიებით, გასული საუკუნის ბოლოს ჩვენს სამშობლოს თავისუფლება მოუპოვა. მათ **„ერთა მმათა“** ღვთისმშობლის წილხვედრი საქართველო უბოროტეს მტერს გამოგლიჯეს ხელიდან, რითაც ქართველ ერს ჩაუსახეს იმედი მომავლისა და ივერიის გაბრწყინებისა. ისინი ხომ თავიანთ ბრძოლას დიდი სარწმუნოებრივი ძალისხმევით წარმართავდნენ, რამეთუ მათთვის კარგად იყო ცნობილი, რომ ღვთის ძალისხმევის გარეშე ბრძოლაში გამარჯვებას ვერ მოუტანდნენ თავიანთ სამშობლოს. განსაკუთრებით უნდა გაესვას ხაზი იმ ფაქტს, რომ ჩვენი ქვეყნის უბოროტეს მტრებს სურდათ და დღესაც სურთ ამ ორი, ღვთისათვის სათნო მოღვაწის განყოფილება და რაგინდ რა პარადოქსული არ უნდა იყოს ერთმანეთთან დაპირისპირებაც კი. ამით ისინი მზაკერულ გეგმებს ისახავენ მიზნად, რომ ქვეყანა, როგორც ერთიანი ეროვნული ორგანული ორგანიზმი იყოს განადგურებული. ეს ხომ მთელმა ქართველმა ხალხმა უწყის, რომ სწორად ზვიადმა და მერაბმა შეადგულა ერთმანეთს ერის ეროვნული ენერჯია და

კაცთმოყვარეობისა და სამშობლოს სიყვარულის უზადლო მაგალითი უჩვენა საქართველოს მოსახლეობას. მათმა რუსთველისებურმა მეგობრობამ ხაზი გაუსვა ჩვენი ქვეყნის ერთიანობასა და სიმტკიცეს. დღეს ჩვენი ქვეყნის მტერსაც ხომ პირველ რიგში მეგობრობისა და სიყვარულის დისკრედიტაცია და განადგურება სურს. ერთ წუთსაც არ ისვენებს ჩვენი ქვეყნის დაუძინებელი მტერი და ქართველი ერის წინააღმდეგ ახალ-ახალ მეთოდებს მიმართავს, რათა თვითოველ ქართველ პატრიარქში ნიპილიზმის ჩანერგვით, ეროვნულ-პოლიტიკური თვითმკვლელობა მოახდინოს.

რადგანაც საქართველოს თავისუფლებას სიცოცხლე უწერია და რა თქმა უნდა ეს ღვთის განგებულებით მოხდება. ამ ორი ქრისტესმითვის რაინდის ცხოვრება და მოღვაწეობა საწინდარი და მაგალითია ჩვენი ქვეყნის მომავალი თაობების ცხოვრებისა. მართალია, ამ დიდი ეროვნული საქმის ერთ-გვარი შექნერება მათი სიცოცხლის ხელყოფით მოხდა, (ერის სულიერი წინსვლის საწინდარი საქართველოში მუდამ წინაპარ გმირთა თავგანწირვა იყო) მაგრამ მათ მიერ დატოვებული სამოქმედო სამართლებრივი გზა, ჩვენს ქვეყანას საბოლოო გამარჯვებამდე მიიყვანს.

1991 წლის 26 მაისს საქართველოს მთელს ტერიტორიაზე ჩატარებულმა სამართლიანმა საპრეზიდენტო არჩევნებმა, საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ, ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნების ხალხის მიერ არჩეული ზვიად გამსახურდია კვლავ პირველ და ერთადერთ კანონიერ პრეზიდენტად რჩება.

ამ ორი ბუმბერაზი რაინდის ცხოვრებამ, როგორც ამას თვით მერაბ კოსტავა იტყვოდა, მადლა ახწია **„ბჭვნი ერის მორალისა“** და ამიტომაც გადაუჯაჯგა მერაბისა და ზვიადის დაბადება საქართველოს თავისუფლების იდეასა და მის განხორციელებას.

**ბიორბი კირმალიშვილი, ეროვნული კომიტეტის მოავარი კორდინატორი, სრულიად საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი; ბსო (ბმსარო) მიძაშა, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის თავმჯდომარე; მამა ილორიანი, (ჯანაღლი) ღამთი ბერძენიშვილი, აღვოკატე, იურისტი; ნანა კახიანი, იბერიულ-კავკასიური მოძრაობის პრეს-მდივანი; ზურაბ შოტალაია, შურნალისტი; ზაზა ბაბუაშაძე, იბერიულ-კავკასიური მოძრაობა; მირონ სულაშვილი; „ლაზარეს ადვინების“ რედაქტორ-გამომცემელი; ბრიტოლ ბოშვილი, მოძრაობა „ძღვევი საკვირველის“ დამფუძნებელი; ბობი სოილაშვილი, ყოფილი პოლიტპატიმარი**

**ვულოცავთ სრულიად საქართველოს**  
26 მაისს, ღვთის ნებით ამ დღეს მოქცეულს სამ ღირშესანიშნავ თარიღს: საქართველოს დამოუკიდებლობის, ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას დაბადების და ზვიად გამსახურდიას საქართველოს პრეზიდენტად არჩევის, დღეს!  
სამების მადლი ფარავდეს ჩვენ ტანჯულ, ღვთისმშობლის წილხვედრ, ქვეყანას!  
საზოგადოებრივ სახალხო მოძრაობა „აბაშელი“ – მ.მკმელია  
საქ. მელსინკის კავშირის აბაშის ორგანიზაცია – მ. მიმინიშვილი  
საქ. „ილია მართლის საზოგადოების“ აბაშის ორგანიზაცია – ტ. ანდლულაძე  
საქ. ეროვნული მოძრაობის ვეტერანთა კავშირის“ აბაშის ორგ. – ალ. მუჯირი

## ნაპო მისხია 76 წლისაა



ძალიან მოგვეძალა ასაკი მე და ჩემს თანატოლებს – თითქოს დღე საათად არის ქცეული, საათი კი წამად.

როცა შევიტყვე, რომ ნაპო მისხია 76წლისა გახდა, თითქოს მაშინ გამახსენდა, რომ მეც მალე (სულ 3 წელიწადში) ვეზიარები ამ ასაკს, თუ, რა თქმა უნდა, უფლის ნება იქნება!

ნაპოს 76 წელი, სხვა მრავალი მისი თანატოლისაგან განსხვავებით, არის მუდმივი შრომისა და ბრძოლის წლები, ხალხის ჯანმრთელობის სადარაჯოზე დღენიადავ ფხიზლად ყოფნა, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობისათვის თავგანწირული ბრძოლა, მადალი ზნეობისა და ადამიანური წესიერების მაგალითების მიცემა მომავალი

თაობებისათვის, საშინელი განსაცდელისაღმი სტოიციზმის დახვედრება...

იშვიათია, რომ ასეთი, ყოველმხრივ დადებითი თვისებებით შემკობილი ადამიანი ჰყავდეს საზოგადოებას!

და ქართული საზოგადოება ბედნიერია, რომ მას ჰყავს ასეთი ადამიანი – ნაპოლეონ მესხია!

მე ჯერ კიდევ თქვენი სამაგიდო წიგნის: **“როგორ გასხვისდა აფხაზეთი”** გამოცემაზე გიცნობდით, ბატონო ნაპო, როგორც დაერლომილთა ჯანმრთელობაზე უანგაროდ მზრუნველ ხელმადლიან დასტაქარს და, როგორც ექიმის ოჯახში აღზრდილი, დიდი პატივისცემა გამაჩნდა თქვენს მიმართ, თქვენმა აღნიშნულმა წიგნმა კი დამამეგობრა თქვენთან, რადგან აღნიშნულ ნაწარმოებს რეფერენდ გადვენებული დიდი სიმართლე თავისთავად წარმოაჩენს თქვენს პიროვნებას სიმართლისათვის თავდაუზოგავ მებრძოლად.

სწორედ ასეთი მეგობარი გახლავთ საიმედო და უტყუარი!

სამწუხაროა, რომ ბევრს ჯერ კიდევ ვერ შეუგნია ეს მარტივი ჭეშმარიტება!

ერთხელ უკვე ვთქვი და კიდევ გავიმეორებ: დახს, თქვენმა წიგნმა ვაგაკოთა ის, რაც ამდენი ხნის განმავლობაში ვერ მოახერხა ქართულმა დიპლომატიამ – არცერთ წერილზე იმდენი გამოხმაურება არ მიგვიღია აფხაზეთიდან, რამდენიც

თქვენი წიგნის წიგნის გარშემო ატეხილი აუიოტავის გამო მივიღე! საინტერესო კი ისაა, რომ გვეხმაურებთან ის ახალგაზრდა აფხაზები, რომელთაც თქვენი, როგორც დასტაქარის ხელის სიბორო არ უგმობნიან და მხოლოდ თქვენს მიერ აფხაზეთის მოკლენებზე გამოცემული წიგნით გაგიცნეს.

ეს არცაა გასაკვირი, რადგან, ჯერ ავად-სახსენებელი შევარდნადის, შემდეგ კი ასევე ავადსახსენებელი სააკაშვილის მმართველობის ჟამს საქართველოს მოქალაქეებს ყველაფერი აკლდათ, მაგრამ საზოგადოება ყველაზე მწვავედ მაინც იმ სიმართლის დეფიციტს განიცდიდა, რამაც საქართველოს ეს ძირძველი კუთხე დააკარგვინა.

არ მინდა ვინმეს გული ვატყინო, მაგრამ საკუთარი თავისთვის არაერთხელს დამისვამს შეკითხვა: რა საჭირო იყო საქართველოში აფხაზეთის მთავრობისა თუ სხვა საზოგადოებრივი სტრუქტურების შექმნა, მით უმეტეს, თუ რეალურად ისინი აფხაზეთის საკითხებს ვერ გადაწყვეტდნენ და მხოლოდ **“აფხაზეთობანას”** თამაშებით იქნებოდნენ დაკავებული. დღენილთა პრობლემების მოსაგვარებლად განა საკმარისი არ იქნებოდა მათთვის სპეციალურად შექმნილი დღენილთა სამინისტროსა და სხვა პუბლიცარული ორგანიზაციების ძალი-ისხმევა? სწორედ ამაზე ფიქრმა მიმიყვანა

იმ დასკვნამდე, რომ ეს სტრუქტურები შევარდნამ სპეციალურად შექმნა, რათა დევნილებს არ მიემართათ თავისი სატყუარის თაობაზე აფხაზეთის რეალური (ჩვენ რომ **“დე-ფაქტოს”** ვეძახით) ხელისუფლებისათვის, რითაც კიდევ უფრო დაეშორდით აფხაზეთსა და აფხაზეთს! ხოლო სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში მის მიერ წამოწყებული პროვოკაციული ომით რომ საბოლოოდ დაგვკარგვინა აფხაზეთი და სამანაბლო, ამაში დღეს უკვე აღარავის ეპარება ეჭვი.

ყველაფერს რომ თავი გაავანებოთ, იქნებ ვინმემ ამისთვის, თუ როგორი საქმით უნდა ვიმუშავა თბილისში აფხაზეთის საბაჟო სამსახურს, ან, თუნდაც აფხაზეთის საგზაო პოლიციას? ვერავინ შემომეძღავება იმაში, რომ მთელი ეს სტრუქტურები გახლდათ ელურად შევარდნადის მიერ საქართველოში დანერგული კორუფციული სპრუტის ერთ-ერთი მომხვეჭელი საცეცი.

ვიცი, არც მე მაპატიებენ ამ სიტყვებს, განსაკუთრებით თბილისში მოკალათებული **“აფხაზეთის მთავრობის”** მესვეურები, მაგრამ სიმართლედ სიმართლედ და იგი აუცილებლად უნდა ითქვას, მით უმეტეს მაშინ, თუ ჩვენ ჯერ კიდევ ვაპირებთ აფხაზეთთან შერიგებასა და მათთან თანაცხოვრებას!

(გაგრძელება მე-2 გვერდზე)



# “ოსებმა ისეთი საიღუმლო დოკუმენტები მაჩვენეს, ბავოცდი”



**ექსკლუზიური ინტერვიუ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი აღმინისტრაციის ეკონომიკის ყოფილ მინისტრ თეიმურაზ ჯამბაშვიტთან (გაზეთი “კვირის პალიტრა”).**

**“...ომი საქართველომ და ქართველმა ხალხმა კი არა, მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო”...**

მას შემდეგ, რაც საქართველოს თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ 2008 წლის აგვისტოს ომი საქართველომ კი არა, რუსეთმა დაიწყო, ყველა მიხვდა, რომ იგი არა მხოლოდ ავადსახსენებელი ნაციონალების მხარდაჭერა, არამედ მათი ინტერესების გამტარებელიცაა საქართველოს დღევანდელ მთავრობაში, რაც შეიძლება ავ ბედისწერად შემოუბრუნდეს ქართველ ხალხს. თუ გაისხენებთ, მანამდე იგივე ირაკლი ალასანიამ განაცხადა, რომ ნაციონალებს რაღაც-რაღაცეები უნდა ვაპატიოთ, რაზედაც გაზეთმა “ილორი” თავისი გულისწერით გამოხატა და განაცხადა, რომ არავის აქვს უფლება ირინა ენუქიძის მაგივრად დამნაშავეს აპატიოს მისი ერთადერთი პირშის მხეცური მკვლელობა, არავის აქვს უფლება დაზარალებულის ნაცვლად აპატიოს უმძიმესი დანაშაულები სისხლისმსმელ ნაციონალებს. მოკლედ, რაც უფრო დრო გადის, ალასანიას თანდათან უცვრდება სახიდან ნიღაბი და იგი დღეს ნაციონალი უფროა, ვიდრე მათი ოპოზიციური ოპონენტი.

აღნიშნულის დასტურად ვაქვეყნებთ წერილს სათაურით “ოსებმა ისეთი საიღუმლო დოკუმენტები მაჩვენეს, ბავოცდი”, რომელიც ამ რამდენიმე დღის წინ დაბეჭდა გაზეთმა “კვირის პალიტრა”. მეთხველი თავად დარწმუნდება, თუ რამდენად “გულწრფელია” ირაკლი ალასანია, რომელიც უტიფარ ნაციონალითა თეზას აუღერებს იმის თაობაზე, რომ 2008 წლის აგვისტოში ომი რუსეთმა დაიწყო და არა პირწავარდნილმა დაშნაკმა სააკაშვილმა. არა მგონია, ალასანიამ იმდენი არ იცოდეს, რომ საფრთხეს ვეღარ შეუქმნის ქართველ ხალხს, ჩვენს საზოგადოებას კი იმგვარი რეალური საფრთხის შექმნა შეუძლია კოლაბორაციონისტი ალასანიასათვის, რომ მას ვეღარც ნავაროს მიერ ხელოვნურად გაზრდილი რეიტინგი უშველის და ვერც “ნაციონალებთან” კუდილთ გადაბმას!

2013 წლის 31 დეკემბერს სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო მთავრობამ პატიმრობიდან გაათავისუფლა და ქართულ მხარეს გადასცა კაცი, რომელსაც 13 წლით თავისუფლების აღკვეთა ჰქონდა მიხჯილი. ე.წ. სამხრეთ ოსეთის დროებითი აღმინისტრაციის ეკონომიკის ყოფილი მინისტრი თეიმურაზ ჯამბაშვიტი ცხინვალში 2010 წლის 15 ნოემბერს გაასამართლეს და ბრალი ძალაუფლების ძალადობრივ მიტაცებასა და კონსტიტუციური წესრიგის დარღვევაში წაუყენეს. მან ცხინვალის ციხეში 3 წელიწადი და 8 თვე გაატარა. ცხინვალში მის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე 2006 წელს აღიძრა, ანუ მას შემდეგ, რაც 2006 წლის ნოემბერში სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული პრეზიდენტის არჩევნებში მიიღო მონაწილეობა. ამ არჩევნებში დიმიტრი სანაკოვეის გამარჯვების შემდეგ ჯერაპოვი ჯერ ეკონომიკური განვითარების მინისტრად დაინიშნა, ხოლო მას შემდეგ, რაც სამხრეთ ოსეთის დროებითი აღმინისტრაცია იურიდიულად გაფორმდა, ეკონომიკურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა. თეიმურაზ ჯამბაშვიტი, რომელიც ერთდროულად

საქართველოსა და რუსეთის მოქალაქეა, ოსური უშიშროების სამსახურის თანამშრომლებმა 2010 წლის აპრილში ჯავის რაიონის სოფელ სინაგურთან დააკავეს. თეიმურაზ ჯერაპოვი ვლადიკავკაზში დაიბადა, თუმცა, ოთხი წლიდან ქუთაისთან ახლოს მდებარე სოფელ კურსებში გაიზარდა. ის დღესაც ქუთაისში ცხოვრობს. ამბობს, რომ მისთვის ერთნაირად ძვირფასია ქართველებიც და ოსებიც და თუ თავის დროზე პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობას დათანხმდა, მხოლოდ და მხოლოდ მშობის – ქართველებისა და ოსების დაახლოების მიზნით.

**“ომი ქართველმა ხალხმა კი არა, მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო”, –** განაცხადა თეიმურაზ ჯერაპოვმა ცხინვალში სასამართლო პროცესზე. მაშინ დიმიტრი სანაკოვეი გვარწმუნებდა, რომ ის აიძულეს და ის ათქვენიეს, რაც სურდათ, თუმცა, დღესაც უკვე მშობლიურ ქუთაისში მყოფი ჯერაპოვი იმავეს იმეორებს:

– 2008 წლის ომი ჩემთვის უდიდესი მოულოდნელობაც იყო და შოკიც, მეტიც, ჩემთვის ეს დღემდე პირადი ტრაგედიის ტოლფასია. თავდაპირველად, როდესაც პოლიტიკაში მონაწილეობას დავთანხმდი, ვფიქრობდი, რომ ამით ქვეყნის საქმეს გაგვიკეთებდა – მშვიდობას შევუწყობდი ხელს, მაგრამ...

2004 წელს, როდესაც ახალი ხელისუფლება მოვიდა, ქუთაისის ავტოქარხანაში კომერციულ დირექტორად ვმუშაობდი. იმ ტალღაში, როცა ხალხს იჭერდნენ და ქონებას ართმევდნენ, ჩვენი ქარხნის დირექტორიც მოხვდა, საშინელ დღეში ჩაგდეს, რის შემდეგაც ვლადიკავკაზში წასვლა გადავწყვიტე. იქ დამეხი და ახლომეხი მყავს. მოკლედ, ორი წელიწადი იქ ვიმუშავე. 2006 წელს დამიკავშირდნენ საქართველოდან და სამხრეთ ოსეთის ალტერნატიული პრეზიდენტის არჩევნებში მონაწილეობა მოხვედა, ქვეყნის სტირდებოდა და მეც დავთანხმდი. არჩევნების შემდეგ ეკონომიკის მმართველმა ჩამაბარეს. მოგესხენებთ, ჩვენი აღმინისტრაცია ქურთაში იყო, სწორედ იქ ვიყავი ომის დაწყების დღეს. ცხინვალში კი არა, სადაც უნდა ვიყო და ვინც უნდა მკითხოს, ვიტყვი, რომ ომი საქართველომ და ქართველმა ხალხმა კი არა, მიხეილ სააკაშვილმა დაიწყო. ამის თაობაზე ცხინვალის ციხეში მოხვედრამდე “ბი-ბი-სისა” და “სი-ენ-ენის” ჟურნალისტებს ვუვლიყავი, თუმცა, მათ ინტერვიუს აღებაზე უარი განაცხადეს. ამ საკითხზე ინტერვიუ ერთ-ერთ რუსულ ტელევიზიასაც მივეცი, თუმცა, ჩემდა გასაოცრად, ეთერში არ გავიდა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩებოდა, რომ ვიღაც მბლოკავდა.

დაძაბულობა კონფლიქტის მიმდებარე ტერიტორიაზე, დიდი და პატარა ღიახვის ხეობებში სულ იყო. 2008 წლის ზაფხულიც ამით გამოირჩეოდა, თუმცა, დაძაბულობის განმუხტვას არავინ ცდილობდა, მაგრამ ომის შესაძლებლობას მაინც არ ვუშვებდი. ახლა ვფიქრობ, რომ ყველაფერი სპეციალურად მოხდა...

**– 2008 წლის 7 აგვისტოს ქურთაში ვიყავი, ბრძანეთ, რა ხდებოდა?**

– ჩვეულებრივი დღე იყო. მოსახლეობა სოფლებში იყო, მეც დიდიდან სამსახურში გამოვცხადდი. მთელი დღე ვისმენდიო ტელევიზიით, რომ ვითარება რთული იყო, მაგრამ სოფელში ეს არ იგრძნობოდა, ხალხი ბაღ-ვენახში მუშაობდა. 7 აგვისტოს გვიან ღამით გამაღვიძეს, თორმეტის ნახევარი იყო. მითხრეს, მამუკა ყურაშვილმა განაცხადა, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას ვიწყებთ. ეგ იყო და, ოდნავ გვიან ცხინვალის მმართველებით სროლა დაიწყო, აფეთქებების ხმა მთელი დამე არ შეწყვიტოდა. სანაკოვეი ბოლო ერთი კვირა ქურთაში არც ჩამოსულა. აღმინისტრაციაში მისი მოადგილე ვასილ სანებლიძე იყო, მას ვკითხეთ, რა ვქნათ, როგორ მოვიქცეთ, იქნებ ხალხს დახმარება სტირდებოდა ან იქნებ ევაკუაცია დავიწყეთ-მეთქი. მითხრა, ყველაფერი რიგზეა... მთელი დღეს, დღის სამი საათი იქნებოდა, სანებლიძის კაბინეტში ვიყავით, როცა შს სამინისტროს ქვედანაყოფების უფროსი მოვიდა, გვარი, სამწუხაროდ, აღარ მახსოვს და გვითხრა, რუსის ჯარი შემოდის, ბრძანება მოვიდა

და ჯავიდან უკან უნდა დავიხიოთ, რაც არ მომწონს, რადგან ამგვარი რამ ცუდად მაქვს დაცდილიო. მანვე თქვა, გვითხრეს, რუსის ჯარი ცხინვალში ჩამოვიტყუოთ და აქ დავარტყათო. არადა, გარეთ სიმშვიდეა, რეაში დიდიდან გასროლის ხმა აღარ გავგვივინია.

ევაკუაციაზე ისევ არავინ არაფერს ამბობს, თუმცა, უკვე ვიცით, რომ რუსები შემოდინ და ხალხი ქოსურად იწყებს გასვლას სოფლებიდან... ამასობაში ხუთი საათი გახდა, უცებ სანებლიძეს დაურეკა ვიღაცამ... ჩვენთან ადმინისტრაციის ტრანსპორტის განყოფილების უფროსიც იყო, გვარად მაისურაძე. სანებლიძემ რაღაც უწურულა, მერე შევიდა ოთახში, ხელჩანთა და ავტომობილში გამოიტანა, მითხრა, ჩვენ თამარაშენში მივლივართო და ჩახსდნენ მანქანაში... არადა, თურმე დაურეკეს, სასწრაფოდ წამოდით ქურთიდანო და ესენიც გაიტყენენ, ოღონდ მე არაფერი მითხრეს. ვცდილობდი, გამერკათ, რა ხდებოდა, ვიღაც არ ვურეკავდი, მათ შორის კონტრდაზვერვის სამსახურების რამდენიმე უფროსს, კაციშვილი არ მპასუხობდა. ვფიქრობ, სპეციალურად დამტოვეს იქ. უნდოდათ, მოვეკალი ოსებს, რათა მერე ეთქვათ, არაფერი ვიცოდით, ავერ მთავრობის წევრებიც ვერ გამოვიყვანეთო.

სოფლებიდან ხალხის გაყვანაზე არავის უხრუნია. ჩემმა მოადგილემ მითხრა, ყველა მიდის და ჩვენც წავიდეთო. კიდევ ფეხს ვითრევდი, საღამოს ექვსი საათი იქნებოდა, როცა წამოსვლა გადავწყვიტე. გავუარე იმ ოჯახს, სადაც მანამდე ვცხოვრობდი, ვიდრე ქურთაში ჩვენს საცხოვრებლებს ააშენებდნენ და დიასახლისი და მისი ვაჟი ჩავისვი მანქანაში. გზაზე რომ გამოვედი, დავინახე 5-6 ქალი პატარებით ხელში, გაეჩერე მანქანა, ჩამოვედი, მოადგილეს კი ვუთხარი, ესენი როგორც ვინდა, ისე ჩაატე მანქანაში და გაიყვანე-მეთქი და ისევ აღმინისტრაციის შენობაში დავრეკი-დი. საღამოს ასე 8-9 საათი იქნებოდა, ავდექი და ქართული სოფლები ფეხით ჩამოვიარე. უკვე თითქმის ცარიელი იყო იქაურთა, თითო-ორიღა მოხუცია იყო დარჩენილი, რომლებიც მერე წითელმა ჯვარმა გამოიყვანა. ისევ ჩემმა მოადგილემ დამირეკა, ესენი უკან იხვევენ და შენც წამოდი, რაღაც უნდა. დავადექი გზას ფეხით, 26 კილომეტრი ტყვიავამდე ფეხით გადმოვიარე. მახსოვს, წვერიახოზე გაეჩერდი, სროლის ხმა ისევ არსიდან ისმოდა, ცოტა შესაშინებელი სიჩუმეც კი იყო. გულში ვფიქრობდი, სად არის ბრძოლა, რატომ არაფერი იმის-მეთქი. ორმა სამხედრო მანქანამ გამომასწრო გზად. ომის ნიშანი იყო ის, რომ გზად მიტოვებული სამხედრო ტექნიკა მხედებოდა. როგორც ჩანს, ჩვენმა ნაწილებმა ჯავასთან ბრძოლის შემდეგ, უკან დახვევის ბრძანება მიიღეს. პოდა, ჩვენები მიდიდნენ და მოსდევდნენ რუსები ისე, რომ არავინ ისროდა.

**– სააკაშვილის ხელისუფლების წარმომადგენელთა თქმით, ცხინვალის დაბომბვა იმიტომ გადაწყდა, რომ რუსის ჯარის შემოსვლამდე ქართული სოფლებიდან ხალხის გამოყვანა მოესწროთ...**

– ტყუილია. რუსეთის ჯარი 8 აგვისტომდე კაციშვილს არ უხსენებია. არც ევაკუაციის გეგმა ყოფილა, ხალხმა თავისით, ქოსურად დატოვა სოფლები. როცა პარლამენტში დავითაიას კომისიაზე სანაკოვეს ჰკითხეს, რითი ეხმარებოდა მოსახლეობასო, უპასუხა, მანქანებსა და ავტობუსებს ვახვედრებდითო. ერთი ჰკითხეთ, სად ახვედრებდა ან ერთი კაცი მაინც მაჩვენოს, რომელიც მაგათი ორგანიზებით მიყვანილი ტრანსპორტით გამოვიდა. რასაც ამბობენ, თავიდან ბოლომდე სიცრუეა. მერე რაღაცებს რომ ვიხსენებდი, უფრო და უფრო გამიდრმავედა ახრი, რომ ყველაფერი სპეციალურად კოლაბორატი.

პრემიერ-მინისტრ ზურაბ ნოღაიდელთან ჩვენი აღმინისტრაციის საკითხებზე სპეციალური კომისია მოქმედებდა. მახსოვს, 2007 წლის სექტემბერი იყო, კომისიის სხდომაზე ნოღაიდელმა ვკითხრა, ნელ-ნელა დაიწყეთ და ადგილობრივ მოსახლეობაში ყველა სფეროს მმართველებით 20-20 კაცი მოამზადეთ, რადგან მალე ცხინვალში მოგვიწევს გადასვლა და სპეციალისტები დავგჭირდებო. ვკითხე, როდისთვის-მეთქი,

მიპასუხა, ასე, 2008 წლის აგვისტო-სექტემბრისთვისო. უკვე მაშინ იცოდნენ, რომ ომი იქნებოდა. ცხინვალშიც ელოდნენ ომს, ხალხი ქალაქიდან გაიყვანეს. ჩვენი არტილერია, ფაქტობრივად, ცარიელ ქალაქს ბომბავდა მთელი დამე. როცა ცხინვალის ციხეში მოხვედი, იქ მივეებოდნენ ამ ამბებს. ცხინვალში ჩემთან ერთად ერთი ოსი რეციდივისტი იჯდა, რომელსაც საქართველოს ყველა ციხე ჰქონდა მოვლილი. ომის დროსაც ციხეში იჯდა თურმე, დაბომბვის დროს გასაღები მისცეს და პატიმრები გაუშვეს... ის ამბობდა, შემოცვივებოდნენ ცარიელ ქალაქში ქართველები, მიუშვებდნენ ტყვიამფრქვევის თუ ავტომატის ჯვრს უმისამართოდ და ისევ უკან გარბოდნენო. ჩვენი ჯარი სუსტი არ იყო, საბრძოლო ოპერაციები სწორად რომ დაგეგმილიყო, რუსებთან ბრძოლას და დიდი წინააღმდეგობის გაწევას შეძლებდა. კოკოთი 8 აგვისტოს დამეს ჯავაში გაიტყა, მერე ჯავიდან საღდაც დაიკარგა, ბოლოს რუსის ჯარი რომ შემოდოდა, იმ დროს გვირბობან იპოვეს, გარბოდა...

ქურთიდან რომ გამოვედი, პირდაპირ ქუთაისში წავიდი. ერთი სული მქონდა, როდის ჩავიდოდი თბილისში და სანაკოვეს ვნახავდი. 19 აგვისტოს რუსები გავიდნენ და მეც ვერვინ ჩამოვედი თბილისში. კაბინეტში თავის სამი მძაკაცთან ერთად იყო, ერთს “კამენას” ეძახდნენ, მეორეს – “დოგს”, მესამის მეტსახელი არ მახსოვს. რომ დამინახა, წამოხტა და სიხარულით ხელი გამომიწოდა, ვუთხარი: მატყუარებს, ქურდებს და გამყიდველებს ხელს არ ვართმევ-მეთქი! ავირდა, მე ვარ გამყიდველიო?!

აღმინისტრაციაში კიდევ ექვსი თვე ვიყავი, მერე შტატები შეამცირეს. ეგეც იმიტომ ვააკეთეს, მე რომ გამოვედი სამსახურიდან...

**– ცხინვალის ციხეში როგორ მოხვდით?**

– სანამ დამიჭერდნენ, შვიდი თვით ადრე მოვახერხე ცხინვალში ჩასვლა. ამ ომის მერე პასუხისმგებლობას ვგრძნობდი ყველა იმ დაღუპული ქართველისა თუ ოსის წინაშე, ვინც ომს შეეწირა. ველოსიპედით მოგზაურობა ძალიან მიყვარს. ოლიმპიურ კომიტეტს შევეუთანხმდი და მათი კვიდით წავიდი საზოგადოებრივად. ჩავიდი კიევში, მერე მოსკოვში, იქიდან კი ჩრდილოეთ ოსეთის გავლით ცხინვალშიც. მოვიინახულე დაღუპულთა საფლავები და უკან ისე გამოვებრუნდი, არავის ვაუწუნებო. ეს იყო 2009 წლის 9-11 სექტემბერს. 2010 წლის აპრილში სანქტ-პეტერბურგში გადავწყვიტე წასვლა. რადგან ნორვეგიაში ამოფრქვეული ვულკანის გამო ფრენები არ იყო, გადავწყვიტე პერევიდან სინაგურში გადავსულიყავი და სამხრეთ ოსეთის გავლით ჩავსულიყავი რუსეთში. სინაგურში ერთი ახლობელი მყავს, იქაური შინაგან საქმეთა ორგანოს თანამშრომელია, იმას დავერეკე, მითხრა, პრობლემა არ არისო. მართლაც ადვილად გადავედი, მაგრამ ჩემი ჩასვლის ამბავი თურმე იქაურ უშიშროებას გაუგია.

დამაკავეს, ჯერ ჯავაში ვიყავი ცოტა ხანს, მერე ცხინვალში გადამიყვანეს, იქ ხელბორკილიც დამადეს. როგორც მერე ვაგივებ, ჩემი იქ ყოფნის ამბავი აქედან შეატყობინეს, გვარ-სახელიც ვიცი, ვინც დარეკა, უბრალოდ, ახლა არ ვიტყვი.

ცოდავს ვერ ვიტყვი, ჩემთვის ხელი არავის დაუკარებია, თუმცა, ჩემთან ერთად იყო ქართველი, პოლიციაში ნამსახურები კაცი, გვარად მიღვალაშვილი, რომელიც ახლაც იქ არის. ის მივეებოდა, რა შავ დღეში ჩაგდეს. ახალგორში დააკავეს, ცხინვალში ჩაყვანის შემდეგ მთელი კვირა საათობით სცემდნენ თურმე. ამბობდა, არაფერს მეკითხებოდნენ, მომდგებოდნენ და მირტყამდნენო. ცხინვალში 25 წელს ხუმით ყველა დაპარაკობს ქართულად. გულწრფელად ვფიქრობ, არავინ რომ არ ჩაერიოს ჩვენს საქმეში, იმავე დღეს ერთ სუფრაზე დასხდებიან ქართველები და ოსები და კარგად იქიფებენ. აღმინისტრაციაში მუშაობისას ვეუბნებოდი ოსებსაც და ქართველებსაც, ცხინვალში კე-ვამდე სუფრა უნდა გავშალე და ერთად ვიქიფოთ-მეთქი, მჯეროდა ამის, მაგრამ 2008 წელმა ყველაფერი თავდაყირა დააყენა.

*(გაგრძელება მე-8 გვერდზე)*



# „ბაბაჩია ჩქინი“ დო „ოთანაფური“ მარბალური

ბაბაჩია ჩქინი

ბაბაჩია ჩქინი, ოფრე ცეფიშ ქინი, ანკია სქან შინი, დადიობაშინი, სქანი გალაშინი. ცეფშქას მუჭოთინი, სქირთუ ეშაშინი. გაგომიციამდღარეთ ქობალ შურდგმაშინი. პატიება მოსქეთ, აშოთ, იშოთინი. ფურს ვევერგათ მოღეთ, ფურმეფეშე, – რსხინი.

(„მამაო ჩვენო“: გაზ. „სამებრელოს ძრონიკა“. 2009.წ. 13. წიგნი: „საბაბაჩიო (ოროფა“. 2014. გვ. 3).

### შენიშვნები:

1. „მამაო ჩვენო“ ვთარგმნე მეფე ანტიპოს (ჯამბულ სხულუხია) შემოკვეთით. მოეწონა: „ეს ვეფხისტყაოსნის თარგმანმა აგაფარჯიშო ზეცამდე“.

2. პირველი სტრიქონის „ცათა შინა“ ხომ ძველმართლმადიდებლურად გადასწორდა და, სასურველია: რუმინეთში კურთხევა მიღებულმა რუმინეთის ქურნალში გაუშვას იგი რუმინულის თანხლებით.

„მამაო ჩვენო“-ზე განმარტებები მოუციათ სასულიეროებს: გაბრიელ ქიქოქს (აფხაზეთში, ახლად მონათლულთა წინაშე სამი მოძღვრება წარმოუთქვამს); გრიგოლ ფერაქს (პარიზში, წმიდა ნინოს ქართველ მართლმადიდებელ მრევლის ორგანო „ჯვარი ვაზისა“-ს 1933 წლის მესამე ნომრით – „შინაარსი ჭეშმარიტად მოქალაქობის, განმარტება „მამაო ჩვენო“-სი).

„მამაო ჩვენო“ ერთ-ერთი უმთავრესი ლოცვაა „კურთხევაწი“-ს წესებში, მაგრამ იგი საესებო უაზროდა შეტანილი მიცვალებულთა წინაშე წარმოსათქმელებში. აბა, სად „მამაო ჩვენო“ და – „სულთა თანა“?

„მამაო ჩვენო“-ს მეგრულად გადაღება ჩემამდეც უცდიათ და ჩემს თარგმანთან შესადარებლად გთავაზობთ ვლადიმერ ფოიერშტაინის წიგნიდან: „ენობრივი სიმდიდრე კოლხეთისა“. 2007 წ. გვ.149.

„მშმა ჩქინი, ნამუთ რამ ცას, ჟიგიფი რას სახელი სჰანი, დო მორთას ზოჯვა სჰანი, დო რას ნება სჰანი მჰმანას, მურთო

ცას რ. ჰობალი ბაჭირბას ჰომურით, ჩქი ათე დღას. დო მორმინტაჰი ვალი ჩქინი, მურთო ჩქი მიშტაჰენი მორვალს ჩქინს, დო ნუ მჰმანო ჩქი უბადო საჰმეს, ათუშენი მირსხით ჩქი უბადოჰა.“

თარგმანთა შედარების მსურველი ჩემგან გაიკვირებს, ეს რა ჭირში ჩამაგდო? იმგვარი სათაურის წიგნი „მშმა ჩქინი“ არ უნდა შეეცანა ვ. ფოიერშტაინს და მეც ავიცდენდი ციტირებას. და მაინც რამდენიმე შენიშვნა: სიტყვა „გაჭირება“, გაჭირებით გადაძლების შეგდებულთა თარგმანში. ქართული „მამაო ჩვენო“ ისედაც მრავალსიტყვიანია და კიდევ შემატება? მართლაც, ამ ერთი სიტყვით გადაამეტა (46), ქართულში 45 სიტყვაა. წირვაზე საათობით ფეხზე მდგომი მრევლი არ შეიცვალეს. მე თუ შევიცოდებ? ჩემს თარგმანში 27 სიტყვაა მხოლოდ.

### ოთანაფური

გეთანე ოშურეთიშე, ღურუს გერიებ ღურათი: – ა, ქირსე, საფულეფიშე შურდგმაში მონიჭებათი.

(„ქრისტე აღსდგა მკვდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი, და, საფლავების შინათა, ცხოვრების მიმნიჭებელი“).

აღვლობიდან ამაღლებამდე, მიხარება-მიგების საურთიერთო წესი, შეხვედრისას ასეთია: ქრისტე აღსდგა. – ჭეშმარიტად. მარგალურო: ქრსე გეთანე. – მარდი მახარებელს.

### შენიშვნები:

1. დღესასწაულს და საგალობელს „აღსდგა“ ვერ გვისხნის, ვერ შეგვაგრძობინებს, ვერ გამოსთქვამს ქართული ენის ღირსებით. მეგრული სჯობია აქ: „გეთანე“, როგორც ეს საგალობლის თარგმანშია და უკვე გაცეანით. რა იქნება, მგალობლებს ესეც რომ ვაგალობოთ? ამაზე, მეგრულთ მოძულენი განაწყენდებიან?

2. ქართველს დიახაც უჭირს გამოთქმა სიტყვისა, ერთად შეყრილი თანხმოვნებით

რომ მოსულან და ამ საგალობელში ასეთებია: „აღსდგა“. „დამთრგუნველი“ და „მკვდრეთით“. მგალობლების ხმას („აღსდგ“-ს „მთრგ“-ს და „მკვდრ“-ს წყალობით) ყოველთვის გამოეყოფა „წვალება“, მრევლის ყურთასმენა რომ ძალისძივად შესწევია?

ქართული რომ მეგრულთ შეესცვალოთ, ეს „წვალებაც“ გაქრება.

გუშინი მკარნახობს: ახლოს ვარ იმ „დედანთან“, რომლიდანაც უამრავმა ენებმა, მათ შორის ქართულმაც, გადაიღო ეს საგალობელი და იმ დედნის ენა, ენათმეცნიერული ნაშრომების (მათ შორის მ. და ც. ძამაძეების შეიდტომეულის) აზრთა შეჯერებიდანაც გამომდინარე, – კოლხურია.

ვ. მწერალმა წიკლაურმა, მოლოცვის საპასუხო „ჭეშმარიტად“-ის ნაცვლად „დასტურად“-ის შემოღება შემოგუთავაზა: უცხო სიტყვას ეხმარობთ, ქართული სჯობიაო. გვეშლება: ორივე სიტყვა კოლხურია. დღემდის ცოცხალ ბრუნვაშია „დამიდასტური“ და „დამჭეშმარიტი“.

4. „ქრისტე აღსდგას“ საპასუხო „მადლი მახარებელს“ (როგორც უკვე მიხვდით: „მარდი მახარებელს“, გადათარგმნილს მეგრულიდან), ჩვენ ვიცნობთ არქანჯელო ლამბერტის წიგნიდან: „სამეგრელოს აღწერა“: სამრეკლოდან ეპისკოპოსის ჩამოძახილს: „ქრისტე აღსდგა“, ქვემოდან ხალხი პასუხობდა: „მადლი მახარებელს“. (2011 წლის გამოც. გვ. 153-4).

როგორც სხანს, ჩვენზე ჭკვიანურად უთმობდნენ და ვპურობდნენ ერთმანეთს სამასი წლის წინანდელი, ორი მონათესავე, მაგრამ ეთნოსურად მოსხვავე მრევლი.

ამაღლებამდის აღვსებობას ხომ ვერ ვთმობთ და, მანამდე სახალხო მოძრაობა „სამებრელოს“ მრევლისთვის (რომლის გამორჩეულობამ და რიცხობრიობამ ბატონი ალექსანდრე ჰაჭიაძის გაპირველკაცება უნდა მოსწავოს და რაც რუსეთის მეთაურსაც გუშინით უგრძენია), გაზ. „ილორის“ საზოგადო ამბიონიდან „ბაბაჩია ჩქინი“ და „ოთანაფური“ მომირთმევია.

მეფე ბენედიქტი, (ბეჰიტი ჯალალონია)

### ჰოეზიის კუთხე

ერთი საინტერესო ბროშურის შესახებ

ამას წინათ ჩემმა მეგობარმა მარუჟა ბროშურად აკინძული მეგრული ლექსების მცირე ფორმატის მქონე წიგნი, რომელსაც, სიძველის გამო, არც გარეკანი აქვს და არც გამოსასვლელი მონაცემები – აღნიშნული ბროშურა 1903 წელსაა გამოცემული ზუგდიდში. ამ მიზეზის გამო ვერც წიგნი გამოქვეყნებული ლექსების ავტორის ვინაობა დაფიქსირდა. ლექსები კი იმდენად საინტერესოა, რომ მისი გამოქვეყნება გადავწყვიტე. ვიწყებ ლექსით „ჩელო“, რომელიც იმდენად დიდია, რომ გახუთის ორ ნომერში მომიწევს მისი დაბეჭდვა.

როლანდ ჯალალანია

### ჩელა

აშო, ჩელა, სი ჩერჩელა, სი მონობას გეგაფილი! სი უჩინჩე, სი სერელა, სი კისერელაფილი...

აშო, ჩელა! ბორო ჩელა, ოკუმალო შხვას დუც არზე... ეცალ რინას დიდო უჯგუ, შურთო ქიანასი ვარდე.

აშო, ჩელა, ბათომიშა, დუდ გეგოთუ სასწორიშა. დიო ჯვირო დორხენდუნა, ბოლოს დუცუ მერქუნცუნა.

გოუსვათი, ჩქიმი ჩელა, ზუგდიდში, დარჩელიშა... გოქართილი ვორეთი, მარა ვეშაშქანა ტეგარჩელიშა.

აშო, ჩელა, ვიშო, ჯაგა! ჩქინი ნახანქარე ყვანა. მარა გვერდის მიდამლანა, ჩქინ ნაშრომუს ვამუჩანა.

აშო, ჩელა! ვიშო, ლომა! ჩქი ბლასუნა მეტი შრომა. ირო ქომუბშენთი, მარა ვორეთ ჟირხოლო ჭკოლა.

აშო, ჩელა! ვიშო, ბუსქა! ნება ვარე – ნუშუ კუსა. ოში დიხას ჭყოლირ კორჩ ტეუსს მუ წამალი ვუსვას..

შარას გილაბცანცაღანთ ალონიშე შქასერიშა. ჩელა, თეში დობლურთუ, ვემართენა სარჯელიშა.

ჭკოლათ პუნცუ ჩქიმი ბუსქა, ცუდეს ვარე ჭა დო ფურჩა. ირველი შხვაქ მიდამილე დო ჩქიმი ბუსქას ანწი მუ ბჩა?

ულუ გერდე, მა ვერხე, გიჭიბუნქ სახირესი.. მა ანთასი გიმანთხუ, ჩელა, თენა მაკვირენც...

ჰო, ჩქიმი ჩელა, ჩქიმი ჯაგა, დუდი მაფუ ონგარალი, მათი დუცუ მუნბხენა ნეგრ დო ტურა ოჭყვადალი.

ჯაგა, ლომა ბორკილეფი, სიღარბემუ ჭოფილეფი, დღასი ვაგებხარებუთუ შხვაში მონა-მორჩილეფი.

ჭურია დო ნაბადარე ჩქინი კლასი, – გიმნაზია. ჩელა, ლეტას ქაშენჯირი, ინკორი დო იკვაზია.

ჩქიმი ჩელა, მუ გიწუა?! ვაგებუბუ ჩქიმი ჭკუა. დუცუ მიღუღანი ჭკუა, ნტერცუ ხვადუ დიდი ქუა.

სუბიდი, 1903 წელი (გაგრძელება შემდეგ ნომერში)

# ნაპო მესხია 76 წლისაა

(გაგრძელება მე-3 გვერდიდან)

თქვენს მიერ აფხაზეთის ომამდე და ომის პერიოდში აღწერილი საბედისწერო მოვლენები და მოვლენათა შემდგომი განვითარება იმის უტყუარად დასკვნის საშუალებას გაძლევთ, რომ დიახაც, წინასწარ შემუშავებული მოდელ-ტეორიები გეგმის საფუძველზე გასხვისდა აფხაზეთი და ამ ტრაგედიაში დიდი როლი სწორედაც რომ აფხაზეთის მაშინდელი ხელისუფლების ქართულმა ნაწილმა ითამაშა.

აფხაზეთის თემაზე დღეს ბევრი წერს, თავდარწმუნებულად გემოდღურავს და უხვად ავრქეფს არაფრისმოქმედ სენტენციებს. ამ თემაზე წერის უფლება კი მხოლოდ იმ ადამიანებს აქვთ, რომელთაც საკუთარ თავზე გამოსცადეს მისი სუსხი და დღესაც სტიკივით აფხაზეთი. თქვენზე მეტად ვინ განიცადა აფხაზეთი მაშინ, როცა ვიდაც უჯიშო გადამოიღმა ავტონომიის სასროლად მოგიღირათ, მასთან ერთად მეოფი აფხაზი ახალგაზრდა კი გადაგვფარათ და ჩვენ „ზოფიკს“ უთხრა:

– ამ კაცმა ჩემი ძმა გადამიჩინა უეჭველ სიკვდილს და მას რომ თმის ღერი ჩამოუვარდეს, ცოცხლებს არ დატოვებთ არცერთსო!

აი, როგორი ადამიანი უნდა წერდეს აფხაზეთსა და აფხაზებზე! თქვენ, როგორც ხელმადლიანი დასტაქარი, საქართველოშიც კარგად გრძნობთ თავს, მაგრამ აფხაზეთი სასტიკად გტკივთ არა მხოლოდ იმიტომ, რომ იქ განისვენებენ თქვენი ოჯახის წევრები, ახლობლები და მეგობრები, არამედ იმიტომ, აფხაზეთი თქვენი სულის განუყოფელი ნაწილია და სული არასოდეს ემეტება ადამიანს გასაგლეჯად.

ვაქტია, რომ ქართველებსა და აფხაზებს ერთმანეთი იმდენად არ ეჯავრებოდათ, რომ თოფები მიეღირებინათ და მოხუცები, ქალები და ბავშვები ეხოცათ.

საბანამ იმდღავრა მაშინ, სისხლის ნაკადული მდინარედ იქცა, დაობლდნენ შვილები, სიბერის ნუგეში დაჰკარგეს მოხუცებმა...!

წარუშლელია ამ ომით მიყენებული მძიმე შთაბეჭდილება, მაგრამ როცა მოვლენებს აფასებენ თქვენნი პირუთენელი ადამიანები, კიდევ რჩება იმის იმედი, რომ ქართველები და აფხაზები ოდესმე მაინც ერთად მიეუხსნებიან მოლაპარაკებათა მაგიდას.

თქვენი მრავალწლიანი ნაყოფიერი მოღვაწეობა სამედიცინო სფეროში და წიგნი – „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“ – ამის უტყუარი წინაპირობა გახლავთ!

ამიტომაც გიძღვნი ქართული საზოგადოებრიობა დიდ მადლობას, თქვენ, ძმაო ნაპო, ამ თავსმოხვეული სამარცხვინო ომის ჭეშმარიტე მიზეზების გამომიხურებისათვის!

როგორც ქართველ უხუცესთა საბჭოს (აფხაზეთიდან) თავჯდომარის მოადგილემ, აფხაზეთის ომის, შრომისა და შეიარაღებული ძალების ვეტერანთა კავშირის საპატიო თავმჯდომარემ ბატონმა მამანტი ჯოლიამ აღნიშნა: „სიტყვებით მათ, ვინც შეეცადა გააკრიტიკოს ბატონი ნაპო მესხიას (დღევანდელი მეცნიერის მედიცინის დარგში) წიგნი „როგორ გასხვისდა აფხაზეთი“, წიგნი, რომელიც ჯერ კიდევ ელის ღირსეულ შეფასებას, რამეთუ ასე ზუსტად აფხაზეთის ომის შესახებ ჯერ არავის დაუწერია სიმართლე...“

...ნაპო მესხიას იმდენი გაუკეთებია ნეიროქირურგიის დამკვიდრების საქმეში აფხაზეთში და ლტოლვილებში საქართველოში, რომ

ღირსია სიცოცხლეშივე დაუდგას შთამომავლობამ ძველი“.

მაგრამ, სამწუხაროდ, ყველას როდი აქვს სიკეთის დანახვის უნარი, რახელაც თვალნათლივ მეტყველებს ბატონ ნაპოსთან შეჭიდებული არარაობების საძრახისი საქციელი!

უხედავთ, რომ მტერიც მოგაძალებია, საკეთანი ერთად, ჩემო ნაპო, მაგრამ სუსტი და უსახურიც ეს მტერი და უსამართლობას ემსახურება. ამიტომაც არის დღემოკლე! მე მათ მტერს კი არა, ხელმოცარულ მოშურნეებს ვუწოდებდი. რადგან მხოლოდ შემოდავება აქვთ იმის ერთადერთ არგუმენტად, რომ, თავიანთი მოკლე ჭკუით, თქვენს დონეზე დააყენონ საკუთარი უმწყო არსება.

დის, მტერს არ მოსწონს თქვენს მიერ ნადავლები ჭეშმარიტება, რადგან, როგორც რუსები ამბობენ: „Правда глаза колит“. ქართველები კი ამბობენ, რომ „სიმართლის მოქმედს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“.


აი, ცხენს კი ძებნას ნუ დაუწევთ, ბატონო ნაპო, რადგან ამდენ სახედრებში ბედაურის მოძებნა ნამდვილად გაგიჭირდებათ!

ჩემო ნაპო! ხანგრძლივ სიცოცხლეს ვისურვებთ სახალხო მოძრაობა „სამეგრელოს“ მთელი აქტივი და მოძრაობის თავმჯდომარე ბატონი ალექსანდრე ჰაჭიაძე, რათა კვლავაც მხედ და ვაჟკაცურად იდგეთ ადამიანების ჯანმრთელობის სადარაჯოზე!

მუდამ შენს გვერდით გვიგულე უღალატო კაცო!

პატივისცემითა და ძმური სიყვარულით, როლანდ ჯალალანია, გაზეთ „ილორი“-ს მთავარი რედაქტორი





ოთარ ფაცია 1929 წლის 15 მაისს დაიბადა ზუგდიდის რაიონის სოფელ ინგირში. დაამთავრა ზუგდიდის მეხუთე საშუალო სკოლა. სწავლობდა მონღოლურ ენაზე და „ზუგდიდის“ საზოგადოებრივი ცხოვრების აქტივისტი იყო, ქართულ ცეკვებში განსაკუთრებული ნიჭი გამოავლინა და, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ვერ ჩაირიცხა (ორი ქულა დააკლდა), მამას განუცხადა, რომ დარჩებოდა თბილისში და მომავალი წლის გამოცდებისთვის მოემზადებოდა. დაუჯერეს მშობლებმა. ოთარი კი ფილარმონიაში წავიდა, წარდგა ილიკო სუსიშვილისა და ნინო რამიშვილის წინაშე. მოიწონეს. მიიღეს. შემოდგომაზე მამამისი – ბატონი ამბაკო ჩავიდა თბილისში შესამოწმებლად, თუ როგორ ემზადებოდა შეილი გამოცდებისთვის... ოთარი შეეცადა თავის მართლებას. არაფერი გამოუვიდა. მამამ შეილი ზუგდიდში დააბრუნა და ასე დაითავსა ოთარის, როგორც მოცეკვავის, კარიერა.

მამის ნაპირზე

მისი ბები ქალაქკომბინატმა გადაწყვიტა: ლენინგრადის მოლოტოვის სახელობის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა მის-აღები გამოცდები – მომავალ ინჟინერს ზუგდიდის ქალაქის საწარმოში გარანტირებული პირობა ადგილი.

მიმე წლები იყო. სტუდენტებს ფული, მაშასადამე, ცხოვრებაც განსაკუთრებით უჭირდათ. ფულს მშობლები უზაინდნენ, მაგრამ საფოსტო გზავნილის ლენინგრადში ჩაღწევას საკმაო ხანი სჭირდებოდა. სულ მთლად მშრალზე რომ არ დარჩენილიყო, მუსიკალური კომპილის თეატრში მოცეკვავედ დაიწყო მუშაობა – ბევრი არაფერი, მაგრამ მაინც ერთგვარი ფინანსური შესაძლებლობა იყო.

“ერთხელ ნევის პროსპექტზე ვსივრთობ მე და ბორის პაჭკორია, რომელიც ზუგდიდის რაიონის სოფელ ციხიდან იყო და საფიქრო ინსტიტუტში სწავლობდა, – ისინი ოთარ ფაცია, – ჩვეულებრივ, შევდიოდით სასოსისეში, რომელიც ანიკას მახლობლად იყო. იმ დღეს გვერდი ჩაუარეთ, ჯიბეები ცარიელი გექონდა. მივდივართ და ვხედავთ, განცხადება გამოკრული ალექსანდრეს თეატრის კედელზე: “ვყიდულობთ თმებს პარიკებისთვის”. შევხედე ბორიას – ხშირი თმები აქვს, ზუგუჭა, როგორც პუშკინს. “მოდო, ჩავაბარე!” – ვუთხარი. “შენ ჭკუაზე ხომ არ მოიშალე?” – მიპასუხა. მოვილაპარაკეთ, მაინც გვეჩვენებინა თავი, შეიძლება, არც არაფერი ღირდა. შევედით თეატრში, შეხედეს ბორიას კულულებს და 750 მანეთი დაეკისრეს. “უთმობოთ რა მიშეგება?” – გაკვირვებით შემომხედა ბორიამ. “ისევე გაგებრდება”, – ვუპასუხე დაბეჯითებით. და წავიდით ლენინგრადის საუკეთესო რესტორანში, რომელიც სასტუმრო “გეროპეისკაისთან” იყო... მშვენიერი საღამო გაგატარეთ”.

თავიდან ოთარ ფაცია საერთო საცხოვრებელში ცხოვრობდა, შემდეგ კომუნალურ ბინაში ერთი კუთხე დაიქირავა თვეში 150 მანეთად. 18-მეტრიან ოთახში ფიცრის საწოლზე ეძინა, რომელსაც ფიცრისავე სასთუმალი ჰქონდა. “ბევრი ადამიანი ცხოვრობდა ამ სივრცეში, აბაზანაში შესასვლელად რიგში უნდა ჩამდგარიყავი...”

ბატონი ამბაკო შესამოწმებლად კვლავ თავს დაადგა, ამჯერად – ნევის ნაპირზე. “რევიზიის” შედეგებით კმაყოფილი დარჩა. მოვლავარა, დაიხახლეს, რომ 500 მანეთს გამოუგზავნიდა, თუ მის ვაჟს სადილსაც მოუმზადებდა და ტანსაცმელსაც გაურეცხავდა. “შენ დრო მხოლოდ სწავლაზე უნდა დახარჯო”, – უთხრა შვილს.

დასახლისი, ველო ანდრიას ასული სიხოვა, კეთილი გულის ადამიანი გამოდგა. გადაიტანა ბლოკადა, ღრმად მორწმუნე იყო და სტუდენტს, როგორც საკუთარ შვილს, ისე უყვოდა. ჰყავდა ვაჟიშვილი, რომელიც სამხედრო სასწავლებელში სწავლობდა და უქმე დღეებში შინ მოდი-

ოდა. მაგიდასთან დასვა მადლიერი სიხოვა და ჩვეულებრივ უფრო დიდ ულუფას შესთავაზებდა სტუმარს შორეული საქართველოდან. ეს თვალშისაცემი იყო და ოთარი ყოველთვის შენიშნავდა კვლევიანდრიას ასულს, რომ თანაბრად გაეყო საჭმელი. “ჭამე, ოთარიო, ჭამე, – უპასუხებდა დასახლისი, – ჩემი უქნარა სასწავლებელშიც შეჭამს”.

...ორი ათეული წლის შემდეგ ოთარ ფაცია ჩავიდა ლენინგრადში და ესტუმრა სიხოვას, შევიდა ოთახში და შირმის უკან ის ფიცრის საწოლი დახვდა, რომელზეც ორწელიწად-ნახევარი იწვა. წაიყვანა ველოკია ანდრიას ასული ავეჯის უახლოეს მაღაზიაში და ყველაზე უკეთესი ტახტი უყიდა.

ჰიძის ნახტომი

ინსტიტუტი რომ დაამთავრა, ოთარ ფაცია ინგირის ცველულოზა-ქალაქის კომბინატში გააწვდიეს. დაიწყო საქონელმცოდნეობა, იყო ნორმდარი, ინჟინერი. ნახევარ წელიწადში ფაბრიკის პროფკავშირულ კომიტეტს ჩაუდგა სათავეში.

შემდეგ ზუგდიდის პარტიის რაიკომში მიიწვიეს სამუშაოდ. ორ წელიწადზე ცოტა მეტ ხანს იმუშავა მრეწველობის და ტრანსპორტის განყოფილებაში ინსტიტუტორად. ამას მოჰყვა არაჩვეულებრივი ნახტომი საკარიერო კიბეზე, ისეთი, როგორც მხ-

– გამოუსადეგარი, ჭაობიანი მიწები, რომლებიც ჩვენ გამოვიყვანე, ნაყოფიერ სავარგულუნდად აქცია. ავაშენეთ მეცხოველეობის კომპლექსები, მათ შორის, კამეჩების ფერმა, პოლანდიური ტიპის სათბურები და ასე შემდეგ. შედეგად, ჩვენი მუშები ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტით მოვამარაგეთ. “შედეგური მაგიდა” ჩვენს მუშას ერთი მანეთი უჯდებოდა”.

კომბინატის ირგვლივ ახალი, თანამედროვე ქალაქი გაშენდა, რომელსაც ხუმრობით “ოთარგრადი” უწოდეს.

პრემიერის სავარაუდელი მას ელოდებოდა

1992 წლის აპრილი იდგა. ოთარ ფაცია კაბინეტში ეღუარდ შევარდნაძემ დარეკა: “გამარჯობა, ბატონო ოთარ, როგორ ხარ?”. “ვემზადები პენსიაზე გასასვლელად”, – უპასუხა ოთარმა. “რომელ პენსიაზე ლაბარაკობთ, იპოვეთ დრო, საქართველოს ახლა რომ უღალატო?” – ხმაილია წარმოთქვა შევარდნაძემ და ყურმილი დააგდო. მეორე დღით ზუგდიდში ჩავიდა სახელმწიფო საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე თემურ ფოფია და ჩაიტანა ეღუარდ შევარდნაძის ხელმოწერილი განკარგულება ოთარ ფაციაზე ზუგდიდის ადმინისტრაციის ხელმძღვანელად დანიშნის თაობაზე.

ასე ოცი წლის შემდეგ ბედმა იწვია, რომ ოთარ ფაცია მეორედ შესულიყო

ოთარ ფაცია – 85

ოლოდ ჯიქს შეუძლია: ინსტიტუტორობიდან განყოფილების გამგის და მესამე მდივნის თანამდებობებისთვის გვერდის ავლით, რაიკომში მეორე კაცის სავარაუდელი დიაკავა. მალე მხარეში პირველი კაცი გახდა: 1963 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის პარტიის სამრეწველო კომიტეტის პირველ მდივნად აირჩიეს.

1965 წელს გადრეიდგა ენგურის ცველულოზა-ქალაქის კომბინატის დირექტორი ბესარიონ ჯანაშია. ოთარ ფაცია საქართველოს კომპარტიის ცკ მეორე მდივანთან – პეტრე როდიონოვთან მივიდა და უთხრა, რომ სურს სპეციალობით მუშაობა, რადგან უმადლესი განათლების მქონე მექანადედა. როდიონოვმა მოუწონა და თქვა, რომ პირველად ხედავს ადამიანს, რომელიც პარტიული სამუშაოდან სამეურნეოზე გადადის.

ოთარ ფაცია “ატომური ბომბი”

უინსტონ ჩერჩილმა სტალინზე თქვა, – ჩაიბარა კავის რუსეთი და დატოვა ატომური ბომბით. ზუგდიდის რაიონის მასშტაბით სწორედ ასეთი გმირობა ჩაიდინა ოთარ ფაცია. მან ჩაიბარა საწარმო, რომელიც სულ დაფუძნდა, რომელშიც 700 ადამიანი მუშაობდა და რომელიც წელიწადში 7 მილიონი მანეთის ზარალს იძლეოდა. ორი წლის შემდეგ სამუშაო ადგილების ოდენობამ უკვე 4.500 შეადგინა და საწარმოს მოგება 25 მილიონს გადააჭარბა.

ენგურის კომბინატს წიწვოვანი ხეების მასალის სვანეთიდან აწვდიდნენ, უფრო ზუსტად, მოჭრილ მორებს ენგურით ზუგდიდამდე ჩამოაცურებდნენ. ახალმა დირექტორმა შეძლო სვანეთის ტყეების – ბუნების ამ უნიკალური ძეგლის – გაჩვენის მინიჭება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სვანეთის ტყეები შეტანილ იქნა კაცობრიობის მეკვიდრეობის ობიექტების იუნესკოსულ სიაში. 1976 წელს მერქნის ჩამოტანა დაიწყო უდმურელოდ, 1980 წლიდან კი ენგურის კომბინატში საერთოდ უარი თქვეს მერქნის ეკოლოგიურად მავნე გადაშენების მეთოდზე და გადავიდნენ ბრეტსკიდან და არხანგელსკიდან გამოგზავნილი ცველულოზიდან ქალაქის ნაკეთობათა დამზადებაზე.

ენგურის კომბინატი გახდა საბჭოთა კავშირში პირველი საწარმო, რომელშიც მუშებისთვის შემოიღეს კვების შედეგური სისტემა – “შედეგური მაგიდა”.

ოთარ ფაცია ისინებს: “შუა 1980-იან წლებში ჩვენი საწარმოს თანამშრომლებს საკუთარი წარმოების სოფლის მეურნეობის პროდუქტებით უზრუნველყოფის იდეა დაგვებადა. მოსკოვში, დარგობრივ სამინისტროში მხარა დაგვიჭირეს, გამოვიყვეს საჭირო სახსრები. საკითხი დადგა, თუ ვინ უნდა დაგვენიშნა ჩვენთვის ახალი სასოფლო-სამეურნეო მიმართულების ხელმძღვანელი”.

ადგილობრივი კადრებიდან არავინ გამოგვადგებოდა. ვეძებე და ვიპოვე თემურ ქარაგა. გაგვიმართლა ამ კაცმა: რამდენიმე წელიწადში, არ მოვერიდები ასეთ შეფასებას, ჩვენს რეგიონში რევოლუცია მოახდინა

ერთსა და იმავე მდინარეში. კომუნისტური პერიოდისგან განსხვავებით, პირველ პირს ვეძებოდა კონფლიქტური მხარეები – მხედრობის და ზვიადისტების მშვიდობიანად დაშორებოდა. ერთი წლის განმავლობაში ხუთჯერ ესროდეს ზუგდიდის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მანქანას, ერთხელ დაიჭრა საქართველოს პარლამენტის დეპუტატი ცაცია შელია, რომელიც ოთართან ერთად მგზავრობდა.

1993 წლის აგვისტოში ოთარ ფაცია სასწრაფოდ მიიწვიეს თბილისში სახელმწიფო საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. ქუთაისში ჩასასვლელად ვერტმფრენი გამოუგზავნეს (სამეგრელოს ტერიტორიას მაშინ ღლით ქობალიას რაზმები აკონტროლებდნენ).

ყოფილი მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის შენობაში ფაცია პირისპირ შეხვდა შევარდნაძეს. სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე 50 წუთის განმავლობაში ვდილობდა, დაერწმუნებინა ოთარ ფაცია, ამ მიმე დროს, როცა დაიწყო აფხაზეთის ომი, როცა გრძელდება სამოქალაქო დაპირისპირება, სწორედ იგი უნდა ჩასდგომოდა სათავეში საქართველოს მთავრობას.

30 წუთი ბრძანების შემსარულეგლად

აფხაზეთის ომის შემდეგ ასიათასობით ღტოლივილი განჩნდა საქართველოში, გრძელდებოდა ზვიადისტების თავდასხმები. პრემიერმინისტრის მოახსენეს, რომ პუნდარული კატასტროფა კარსა მომდგარი, ფქვილი და ხორბალი მხოლოდ 48 საათისთვის არის საკმარისი, ხოლო გემი, რომელსაც ხორბალი მოაქვს საქართველოსთვის, მხოლოდ 18 დღეში შემოვა ფოთში. მიიღეს სხვა ინფორმაცია: ფოთიდან ბაქოსა და ერევნისკენ ხორბლით დატვირთული 25-25 ვაგონი დაიძრა. ოთარ ფაცია კაბინეტში გამოიძახა რკინიგზის უფროსი რემი ვასიკა და უბრძანა: 10-10 ვაგონი ჩამოეხსნა აჭრბაჯანისა და სომხეთისკენ მიმავალი შემადგენლობებისთვის და მიეწოდებინათ საქართველოს საფქვავე კომბინატებისთვის. “ამის გაკეთება შეუძლებელია”, – უპასუხა რემიმ. “მე თქვენ ვბრძანებო”. “მაშინ, თუ შეიძლება, ეს ბრძანება წერილობითი ფორმით გადავმოქმედო”, – სთხოვა რკინიგზის უფროსმა. “წერილობითი ფორმით იქნება განკარგული თქვენი მოხსნის შესახებ”, – უპასუხა პრემიერ-მინისტრმა. – ოცდაათ წუთს გაძღვეთ ბრძანების შესასრულებლად და არც ერთი წუთი მეტს”. ერთ უბედურებას მეორე მოსდევდა. რუსეთმა შეწყვიტა გაზის მოწოდება 6 მილიონი მანეთის დავალიანების გამო... იგივე ბრძანება, რომელიც რემი ვასიკამ მიეცა, გაუფორბა ოთარ ფაცია საქართველოს გაზის მრეწველობის სამმართველოს უფროსს დავით ელიაშვილს: რუსეთიდან საქართველოს ტერიტორიით სომხეთისთვის გამავალი გაზი გადაეცისამართებინა თბილისისთვის.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე შევიდა ეღუარდ შევარდნაძესთან და ვითარების შესახებ მოახსენა. “შეიძლება,

ახლა დაგიბრუნო ალიეგმა და პეტროსიანმა, – უთხრა შევარდნაძეს ფაცია, – მაგრამ მე სხვა გამოსავალი არ მქონდა სოციალური აფეთქების თავიდან ასაცილებლად”.

სამი კვირის შემდეგ ახერბაიჯანსა და სომხეთს დაუბრუნეს რეკვირებული ხორბალი, გამოჩახეს სახსრები გაზის დავალიანების დასაფარადაც.

მოსკოვში, მსო-ს ქვეყნების მეთაურების სამიტზე შევარდნაძე და ფაცია სომხეთის პრეზიდენტმა ლევონ ტერ-პეტროსიანმა მიიწვია. ბატონმა ოთარმა მობოდიშება დაიწყო, მაგრამ ტერ-პეტროსიანმა შეაწყვეტინა: “არა უშავს. მე ყველაფერი ვიცი. იმიტომ ვართ მეზობლები, რომ გაჭირვებაში ერთმანეთს დავეხმარებოთ”. ელცინის არჩვის ბოთლის სამაღაში

1994 წელს ბორის ელცინი თბილისში ერთი დღით ჩამოვიდა. მოსკოვში დაბრუნების წინ იგი და მისი თანმხლები პირები “შეგეხი პალასის” რესტორანში დააბეჭდეს. 100 კაცამდე შეიკრიბა მდიდრულად გაწყობილ ქართულ სუფრაზე.

ელცინის მარცხი ეღუარდ შევარდნაძე იჯდა. იგი სუფრას თამაობდა, მარცხენა მხარეს – ოთარ ფაცია.

“მე დავინახე კონიაკით ელცინის ჭიქის შეგება, – ისინებს ექსპრემიერი, – უცებ მის ზურგს უკან გამოჩნდა პრეზიდენტის თანმხლები დედეგაციიდან ერთ-ერთი და შესტებით მიმანშნა, არ დამეხსნა კონიაკი. გულის ჯიბიდან არყის ბოთლი ამოიღო და რუსეთის პრეზიდენტს ჭიქა აუვსო”. საათ-ნახევარი გავრძელდა პურის ჭამა. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველოს პრემიერ-მინისტრი კონიაკს სვამდა, რუსეთის პრეზიდენტს კი არაყს უსხამდნენ გულის ჯიბეში დამალული ბოთლიდან.

როცა სხვისი ბუნდებიმით ხარ

ბუნდებიმით ხარ, რაც ადამიანს გააჩნია, სიცოცხლე. – წერდა ნიკოლაი ოსტროვსკი, – იგი მას ერთხელ ეძლევა და ისე უნდა იცოცხლო, რომ არ შეგრცხვოს უმიზნო გატარებული წლები”. ოთარ ფაცია ყოველთვის ცხოვრობდა და ცხოვრობს ნამდვილი ცხოვრებით. ნამდვილი ცხოვრება კი ისაა, როცა ადამიანი სხვისი ბუნდებიმითაა ბუნდები. ოთარ ფაცია ციხით, ამ მამულიშვილით, პარტიოტით, დამსახურებულ პიროვნებით ამაყობს საქართველო.

ბსნიკ ფიშია, ურნალისტა საერთაშორისო ფელერაციის წევრი

გაზეთი “ილორი” სულითა და გულით ულოცავს ბატონ ოთარს 85 წლის იუბილეს, უსურვებს ხანგრძლივ სიცოცხლესა და ჯანმრთელობას ჩვენი სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ.

ჩემო პატივცემულო, ბატონო ოთარ! თქვენი დღევანდელი შემართება და სიმედვრე ზოგჯერ იმის სერიოზულ ეჭვს ბადებს: “შეიძლება კი ასეთი ენერგიული ადამიანი 85 წლის იყოს?”

ყოველთვის დიდი სიბოთით ვიხსენებ მეოცე საუკუნის 80-იან წლებში, თქვენთან ერთად ინგლისში გატარებულ დღეებს, სადაც ეკონომიკურად დასუსტებული საქართველოსთვის თუნდაც რაიმე სიკეთის ქმნის სურვილმა ჩაკვიყვანა. დღესაც მეხმაურებიან ჩვენი ინგლისელი მეგობრები რომ გლოვობენ, მაიკ პაიზერი, დევიდ ვილსონი, ქალაქ ვორინგტონის მერი როჯერ ვუდი და სხვები და სიყვარულით იხსენებენ ჩვენთან ერთად გატარებულ დროს, როცა ინგლისში ქართველ ბავშვთა ანსამბლი “ნერგები” ჩაიყვანეთ და საქმიან შეხვედრებსაც ვატრებდით, როცა ვრინგტონის საპატიო მოქალაქეებად ავირჩიეს...

ჩემო ბატონო ოთარ, ყველამ კარგად იცის ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება ეღუარდ შევარდნაძისადმი, რომელმაც უამრავი სიბოროტე ჩაიდინა საქართველოსა და ქართველების წინაშე, მაგრამ არ შემიძლია სათანადოდ არ დავაფასო შევარდნაძის ბრძნული ნაბიჯი, როცა მან დაქველდა, მიწასთან გასწორებული და კუთხებად დაგლეჯილი საქართველოს მთავრობის მეთაურად თქვენ დაგასახელათ.

სწორედ თქვენ ვადაარჩინეთ მაშინ საქართველო საბოლოოდ დაშლად განადგურებას, რისთვისაც დიდად გემადლიერებათ თითოეული ქართველი!

ხანგრძლივ სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ვისურვებ, ძალი ოთარ!

დრმა პატივისცემითა და სიყვარულით, როლანდ ჯალაღანი, გაზეთ “ილორის” მთავარი რედაქტორი



რეზო ჩხეიძე: აშშ დემოკრატიული სახელმწიფო იყო, დღეს კი ის საზიზღარი აბრეშოკია!



გამოჩენილ ქართველ რევოსორ რეზო ჩხეიძეზე ცოტა ხნის წინათ ფილმი გადაიღეს. "ჩვენ ჩვენი ფესვებიდან მოვიდვართ" - ასე პქვია მსახერხულ-დოკუმენტურ ნაწარმოებს, რომელშიც დიდი რევოსორის ცხოვრება და მოღვაწეობა ასახულია. რამდენიმე დღის წინათ კი ბატონი რეზოს ხელის ანაბეჭდის ცერემონიაც გაიმართა. რაც მთავარია, ხელისუფლებამ რევოსორს ქუთაისში დაუბრუნა სახლი, რომელშიც ბავშვობა გაატარა. მალე ეს სახლი გახდება კინოსკოლა, აგრეთვე, მუზეუმი, რომელშიც გამოთვინება ბატონი რეზოსა და მისი მამის, შესანიშნავი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის - დავით ჩხეიძის, იმავე დია ჩიანელის ნივთები.

- მამა - დია ჩიანელი, დასავლეთ საქართველოს მწვერვალთა კავშირის თავმჯდომარე, კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის დირექტორი, აგრეთვე, პედაგოგიური ინსტიტუტის დაუსწრებელი სწავლების პრორექტორი გახლდათ. მამა 1937 წელს დახვრიტეს, 45 წლისა... რიონის პირას, ოქროს ჩარდახის გვერდით, ე.წ. სამეფო უბანში, თეთრ ხიდან ვცხოვრობდით. იქ ახლაც დგას უძველესი მანოლია, რომელსაც კოლაუ ნადირაძემ მშვენიერი ლექსი მიუძღვნა. ჩვენს ოჯახში დადიოდა გალაკტიონი, ტიცაიანი, კონსტანტინე ლორთქიფანიძე და სხვა უამრავი გამოჩენილი ადამიანი. სხვათა შორის, ლადო ასათიანი მამჩემის მოსწავლე იყო. როდუ-

საც მამა დახვრიტეს, ლადოს უთქვამს, დია არ არის ქუთაისში და ამ ქალაქში მე როგორ გავჩერდეთ და თბილისში გადმოვსულა საცხოვრებლად. მამას დაპატიმრების შემდეგ "ხალხის მტრის შვილი" გავხდი, მაგრამ სკოლის დირექტორმა თამარ დახუნდარიძემ თავის კაბინეტში შემიყვანა, გულში ჩამიკრა და მიხსრა, არ ინერვიულო, მამაშენი პატიოსანი კაცია, ძველებურად განაგრძე სწავლა და შენს გვერდით ვიდგები. იმხანად ასეთი საქციელი სასწორზე სიცოცხლის დადებას ნიშნავდა. მამას დახვრიტის შემდეგ სახლიდან გამოვავასახლეს და ჩვენთვის უცნობმა ადამიანმა, ვანო მაჭავარიანმა, რომელმაც სახლის წინ, ფუთებზე ჩამომსხდარი დაგვიჩინა, წავიყვანა და 6 თვის განმავლობაში თავის სახლში გვაცხოვრა. ერთმა ჩეკისტმა კი გამოსახლებისას ნუსხაში არ შეიტანა ჩვენი რიადი, რომელიც გავყვიდეთ და რამდენიმე თვის განმავლობაში ამ თანხით გავიტანეთ თავი. 1938 წელს, თბილისში რომ გადმოვედით საცხოვრებლად, გოგლა ლეონიძემ დედა - "ხალხის მტრის" ცოლი, ლიტერატურის ინსტიტუტში მიიღო სამუშაოდ. განა ეს საოცრება არ არის?

1973 წელს ფილმ "ნერგებს" რომ ვიღებდი, თან მახლდა მეგობარი შოთა ლაფერაძე, რომლის მამაც 37 წელს დახვრიტეს. მოვიხიეთ ის ადგილი, სადაც ჩვენი მამები დახვრიტეს და მე, შოთა ლაფერაძემ და ირაკლი ჭუმბურიძემ დავდგით მემორიალური ძეგლი. 1995 წელს ეს ადგილი უწმინდესმა აკურთხა და ყველა, ვინც იმ ადგილას დახვრიტეს, წმინდანად შერაცხა. სხვათა შორის, 1937 წლების მოვლენებზე რა ფილმი და ნაწარმოებიც არის გადაღებული და დაწერილი, მცდარი ან გაზვიადებულია, რადგან არც კაგუბე იყო ისეთი მონსტრი, როგორც ვარმოაზუნენ, და არც ადამიანები იყვნენ ისე გადაგვარებული, რომ სხვისი ქონების ხელში ჩასაგდებად ანონიმური წერილები ეწერათ. რა თქმა უნდა, ასეც ხდებოდა, მაგრამ არა იმ დონით, როგორც ისტორიას შემორჩა.

რამდენიმე წლის წინათ შევიტყვე, რომ ქუთაისში, სახანაშვილის 14-ში მდებარე ჩემი სახლი იყიდებოდა, მაგრამ მის ყიდვას თავი ვერ მოვაბი. შარშან კი ამ სახლის შესახებ ბიძინა ივანიშვილმა შეიტყო, შეისყიდა და მე გადმომცა. იქ გაკეთდება შემოქმედებითი სახლი "ჯარისკაცის მამა". ამ სახლში იმუშავებ კინოსკოლა და ჩემი და მამას მუზეუმი. უზარმაზარი ფილმოთეკა მაქვს, რომელსაც ამ კინოსახლში მივიტან. ეს მართლაც დიდი სანუქარია ქუთაისისთვის.

- ბატონო რეზო, საქართველოში შექმნილ ვითარებას როგორ შეაფასებთ? - სააკაშვილი ქვეყნიდან გააგდეს, თუმცა "ნაციონალები" დარჩნენ. ხელისუფლება ცდილობს, დემოკრატიულად მიუღვას მათ, მაგრამ მაწუხებს ეს ამბავი, რადგან "ნაციონალებთან" თეთრი ხელთათმანებით

ბრძოლა არ შეიძლება. ხომ ხედავთ, რა ხდება? გამწარებული ადამიანები თავის გამამწარებელსა და ამომგდებს თვითონ უსწორდებიან ქუნაში. გადაწყვეტი ზომების მიღებაა საჭირო. "ნაციონალებმა" თავი მას შემდეგ წამოიყვეს, რაც ივანიშვილი ჩრდილში გადავა. სიმართლე ვითხრათ, ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლა ჩემთვის თავიდანვე გაუგებარი ნაბიჯი იყო. როდესაც ეს გადაწყვეტილება გაახმაურა, ვკითხე, სად და რატომ მიდისარმეთი, რაზეც მიპასუხა, პირიქით - ახლა მოვდივარო... ცხადად ჩანს, რომ დღევანდელი ხელისუფლება, ამერიკელების გავლენით, ლიბერალიზმის გზას დაადგა. ამერიკა მსოფლიოშია გაბატონებული და ცდილობს, ქვეყნები შიშით ან ფულით ჩაიგდოს ხელში. ადრე, ჯონ კენედის პრეზიდენტობის ჩათვლით, აშშ დემოკრატიული სახელმწიფო იყო, დღეს კი საზიზღარი, აგრესორია. ადრეც და ახლაც მრავალჯერ ვარ ამ ქვეყანაში ნამყოფი და, როგორც ცა და დედამიწა, ისე განსხვავდება ერთმანეთისგან ძველი და ახლანდელი. ცხოვრებულმა სოფიკო ჭიაურელიმა თქვა, ქართველებმა ცურვა არ ვიცით და ოკეანის გადაღმა რა გვატყაქმებო, - უხუნად ასეა ჩვენი საქმე. მართალია, საქართველო ილიასა და აკაკის ეპოქაში რუსეთის კოლონია იყო, მაგრამ არც ისე იყო საქმე, როგორც ზოგი წერს. რუსეთმა ძალიან მნიშვნელოვანი რამ გააკეთა საქართველოსთვის. დავიწყოთ კულტურით. რომ არა რუსეთი, ილია ჭავჭავაძე და "სამოციანელები" არ იქნებოდნენ, რადგან ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგ კერძო კულტურა საქართველოში აღარ შემოდიოდა. ერთადერთი გზა, რომელიც დაგვრჩა, პეტერბურგი იყო და ჩვენმა დიდმა მოღვაწეებმაც ამ ქალაქის უნივერსიტეტში მიიღეს განათლება. გაიხსენეთ ჩვენი კლასიკოსები, მეცნიერები, იმჟამინდელი განათლების დონე. ქართული კინო მსოფლიოში წამყვან პოზიციაზე რომ იდგა, სწორედ რუსეთის დამსახურებაა.

ყველა გამოჩენილმა რევოსორმა შვიდი (კინემატოგრაფიის საკავშირო ინსტიტუტი) დაამთავრა... როდესაც მე და თენგიზ აბულაძე მოსკოვში ჩავედით, თბილისის თეატრალური ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტები ვიყავით და, შვიდი-მანათლებელი რომ შევიტანეთ, პირველი კურსიდან სწავლის დაწყებამ მოითხოვეთ, ამის გამო ვეკის რექტორმა დაგვიბარა და გვითხრა, ბიჭებო, რა გჭირთ, მესამე კურსის სტუდენტები ხართ, შემოძლია, გამოცდების ნაბარების შემდეგ აქაც პირდაპირ მესამე კურსზე დაგსვათო. შემავსებინეს სპეციალური ანექტა, რომელშიც ჩავწერე, რომ თავადიშვილი ვიყავი, რომ მამა მუშაობდა ბიბლიოთეკაში და 37 წელს დახვრიტეს, როგორც ტროცკისტი. ამ კაცმა აიღო ეს ფურცელი და გადახია. მითხრა, რას შერებო? შემდეგ ახალი ფურცელი მომცა და

თავისებურად დამაწერინა. დიახ, ეს რუსმა, აბსოლუტურად უცხო ადამიანმა გააკეთა. ვკითხვით, ამერიკელი ასე მოიქცეოდა? მიმანჩია, რომ ჩვენმა ხელისუფლებამ გეხი რუსეთისკენ უნდა აიღოს. ჯერ ერთი, მეზობელი სახელმწიფოა, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, მეორეც - მართლმადიდებელი ქვეყანაა და, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ვიცნობთ რუსეთს. რომ არა ჩვენი შიში ამერიკისა, უკეთ განვითარდებოდა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობა. თქვენ წარმოიდგინეთ, რუსეთი ახლაც კი აკეთებს ბევრ კარგს ჩვენს დასახმარებლად. ბოლო ფილმი, რომელიც ჩემზე გადაიღეს, რუსეთმა დააფინანსა და არა ამერიკამ. ასეა, დილით რომ ადგები და ფანჯრიდან გაიხედავ, ჯერ მეზობელს დაინახავ და შემდეგ - მუსე.

- NDI-ს კვლევებს როგორ შეაფასებთ. ამ ორგანიზაციის მიერ ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, პატრიარქის შემდეგ (96%), ყველაზე მეტად თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანიას მოსწონთ (67%), მას პრემიერი ღარიბაშვილი (64%) და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი მოჰყვებიან.

- გამოირიცხულია, პატრიარქს და სხვა, თუნდაც გამოჩენილ პოლიტიკოსს ღამის თანაბარი რეიტინგი ჰქონდეთ. ვინმეს თუ ჰგონია, რომ ისეთი ორგანიზაციები, როგორც NDI-ს ოდესმე სიმართლეს გამოაქვეყნებენ, ძალიან ცდება. ავტორიტეტში კი პატრიარქს ნურავინ გაეჯივრება, ის აშკარად ყველაზე მაღლა დგას.

- საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამოსავალი რაში მდგომარეობს?

- ვიცი, რომ პოლიტიკურად თავისუფლად ცხოვრებას არაფერი სჯობს, მაგრამ არსებულ ვითარებაში, როდესაც ორი დიდი სახელმწიფოს დაპირისპირების ფონზე ვაწევს არსებობა, ვაქვს თმელი რიგი მოუგვარებელი საკითხებისა, მაგალითად, აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის დაბრუნება და ა. შ. ამიტომ მგონია, რომ ამ პერიოდისთვის საჭიროა, უფრო მეტად დავდგეთ რუსეთის მხარეს და თავი დავანებოთ ამერიკის შეერთებულ შტატებისა და იმ სახელმწიფოების მოყვრებას, რომლებიც ამერიკას ყურით უჭირავს. მე მაინც მართლმადიდებელ კერას ვარჩევდი, რუსეთის სახით, იმ კერას, სადაც უძველესი განათლება ილიამ, აკაკიმ, ვაჟამ, ბარნოვმა და უამრავმა გამოჩენილმა ქართველმა მიიღო. კინემატოგრაფიისთვის, რომლებმაც ქართული კინოფერმენი შეექმნით, ყველანი შვიდი-მანათლებელი ვიყავით.

- ბატონო რეზო, დღეს მათ, ვინც ასე ფიქრობს და აზროვნებს, მოლაღატებებსა და რუსეთუმეებს უწოდებენ...

- მათ არ ვაქცევ ყურადღებას, თუმცა ჩემთვის პირში არავის უთქვამს მსგავსი რამ.

ესაუბრა ნინო მაისურაძე

დიდი ხელოვანის შემოქმედებითი საღამო ზუბილიში

დიდ ქართველ მოცეკვავეს და ქორეოგრაფს, ბატონ რეზო ბუღიას 80 წლის იუბილე გასული წლის 25 აპრილში ჰქონდა, მაგრამ მისი შემოქმედებითი საღამოს ჩატარება მაშინ, რატომღაც, ვეღარ მოხერხდა.

მართალია დაგვიანებით, მაგრამ მაინც, ამ დღეებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ცენტრ "ორიშის" ინიციატივით კულტურის სახლში ჩატარდა გრანდიოზული საღამო. ეს იყო მართლაც ხელოვნების ნამდვილი დღესასწაული და გულწრფელად ხარობდა დამსწრე საზოგადოებაც. ადელეგებული და გახარებული იყო თავად ბატონი რეზოც... სცენაზე ერთმანეთს ცვლიდნენ სიტყვით გამოხსენებები და შემოქმედებითი კოლექტივები. საზოგადოებამ იხილა ვიდეოჩანაწერები, რომელშიც ბატონ რეზოს მიესალმებოდნენ და მის შემოქმედებაზე მოწიწებით საუბრობდნენ ხელოვნების კორიფეები - ომარ მხეიძე, ფრიდონ სულაბერიძე, რეზო ჭანიშვილი. მხცოვან შემოქმედს გულთბილი სიტყვებით მიმართეს თბილისიდან და ოსურგეთიდან საგანგებოდ ჩამობრძანებულმა სტუდენტმა ც. კერანზე ნაჩვენები იქნა დიდი მავსტროს მიერ სხვადასხვა დროს შესრულებული ცეკვების და ქორეოგრაფიული ნამუშევრების შემორჩენილი ჩანაწერები. ნაჩვენები იქნა ასევე კადრები მის მიერ შესრულებული ეპიზოდური კინოროლებიდან. აღსანიშნავია, რომ საღამოზე შედგა პრემიერა ბატონი რეზოს ახალი ქორეოგრაფიული ნამუშევრისა - „მარგალური დიარა“. საცეკვაო ხელოვნების მცოდნეთა და მკვლევართა შეფასებით „მარგალური დიარაში“ კიდევ ერთხელ გამოვლინდა მისი უბადლო ქორეოგრაფიული ნიჭი. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ საზოგადოებაში უკვე კარგა ხანია მუსიკურს აზრი და მართლაც ხომ არ დადგა დრო, ქზუგდიდში, კულტურის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიხსნას სიცოცხლეშივე ლეგენდალ ქვეული ცეკვის ჯადოქრის, ბატონი რეზო ბუღიას ვარსკვლავი...

ზურაბ ლაპაძარი

პრეზიდენტმა კუტიმმა 5 მაისს ხელი მოაწერა კანონს, რომელიც ხელოვნების ნაწარმოებებში და საჯარო გამოცვლებში უხამს გამომთქმეებს პრეტალასს

2014 წლის 1 ივნისიდან რუსეთში აიკრძალება გაქირავების მოწოდებების გაცემა ვიდეოებზე, სადაც უცენზურო ფრაზები უდერს და უხამსი გამოხატულებების გამოყენებით რამიმ გამოცვლებისა და თეატრალური წარმოდგენების ორგანიზება.

აუდიოვიზუალური და ბეჭდური პროდუქცია უცენზურო გამოხატულებებით მხოლოდ სპეციალურ შეფუთვაში გაიყიდება. გინების გამოყენება მედიაში მთლიანად იკრძალება.

სადავო სიტუაციაში სიტყვებისა და გამომთქმების შესაბამისობას ლიტერატურულ რუსულ ენასთან „დამოუკიდებელი ექსპერტიზა“ განსაზღვრავს.

აღნიშნული კანონის ერთჯერად დარღვევისათვის გათვალისწინებულია 2 000-დან 50 000-მდე რუბლის ოდენობის ჯარიმა, ხოლო ქმედების განმეორებას ისჯება დისკვალიფიკაციით და საქმიანობის შეწყვეტით.

ამ მხრივ რომ საქართველოში კატასტროფული მდგომარეობა ვაქვს, ფაქტია, რადგან უხამსი გამომთქმები და სიბილწე ჟონაგს ღამის ყველა ტელეარხიდან, რა თქმა უნდა, მხოლოდ საპატრიარქოს ტელეარხს "ერთსულოვნებს" გარდა. აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ საქართველოში ავადსახსენებელმა "ნაციონალურ-

მა მოძრაობამ" საერთოდ გააქრო ნორმალური ქართული მწერლობა და ასარჩევ დაუთმო ბილწინტევაობით გამორჩეულ დეისაძეებს, ბურჭულაძეებს, საკმაოდ საეჭვო ღირებულების მქონე ნაწარმოებთა ავტორებს გოგობედაშვილს თუ კაკალაშვილს, რომელთა წიგნებიც, სწორედ ნაციონალთა ლობიერებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში თუ ევროპის ქვეყნებში იბეჭდებოდა. დამერწმუნეთ, დიდად სახარბიელო ავტორიტეტს ვერ შეუქმნის ამ არარაობათა ნაჯღანები საქართველოს მის სახლურებს გარეთ, რადგან ლიტერატურა ერის სახეა და მისი მენტალიტეტის საზომი ერთეულია. მაგრამ, უბედურებაც ის არის, რომ ევროამერიკელებს სწორედ ისეთი ნაწარმოებები მოსწონთ, რომელიც ახალისებს მამათმავლობას, ღვსოსელობას, ინცესტს, ყველა სხვა ამქვეყნიურ ცოდვას...

ახლა იმაზეც დაფიქრდეთ, თუ როგორ უფროსი დღეა საკუთარი ხალხის მრწამსს ვლადიმერ პუტინი, ზემოთაღნიშნული ნორმების დაკანონებით, და საით ვიბიძგებს ჩვენი ხელისუფლება, როცა მფარველები გარყვნილების პროპაგანდით დაკავებულ არასამთავრობოებს.

ნუთუ დაგვეკარგა ავისა და კარგის ერთმანეთისაგან გარჩევის უნარი?



# მოეხადე, საქართველო! ლატვიაში ქალაქის მერმა ნატოს მეზღვაურებს ოკუპანტი ღორები უწოდა



ლატვიის ქალაქ ვენტსპილსის მერი ნატო-ს გენერალურ მდივანთან იხილეს ალიანსის მეზღვაურების ღორული საქციელის გამო. ამ ქალაქში 9 მაისიდან საერთაშორისო სწავლება Open Spirit ტარდება, რომელშიც ნატო-ს და ევროკავშირის 26 ხომალდი მონაწილეობს. ამ დროის განმავლობაში ვენტსპილსში წესრიგის დარღვევათა რაოდენობა ორჯერ გაიზარდა.

მერის თქმით, მეზღვაურები ისე იქცევიან, როგორც "ოკუპანტი ღორები, რომლებიც არ აღიარებენ ლატვიის კანონებს". ისინი ქუჩებში სვამენ სპირტიან სასმელს, ვიტრინებს აფხავენ. ყველა ადგილობრივი ყვავილნარი განადგურებულია: ყოჩაღი მეზღვაურები ყვავილებს გლეჯენ და გოგონებს წუქნიან.

ამის გამო ადგილობრივი მოსახლეობასთან უამრავი კონფლიქტი წარმოიშვა. შედეგად ნიდერლანდელი მეზღვაური თავის მძიმე ტრავმით ადგილობრივ საავადმყოფოში მოხვედა. ასევე "სტუმართმოყვრულად" შეხედნენ ნატო-ელებს რიგაშიც. ადგილობრივმა ტაქსისტებმა არაფხიზელი მეზღვაურების ჯგუფი მიიქვევეს, რომლებსაც მრიცხველით გადახდა არ სურდათ.

ამას თუ ევროპელი ჯარისკაცები სწადიან, წარმოიდგინეთ რას იზამენ საქართველოში ნატო-ს ვედილი შემოსული თურქი ბარბაროსი ასკერები! მაშინ ხომ, არამც თუ რუსი, არამედ სომხელი ჯარისკაციც კი სანატრელი გაგვიხდება!

ეს, რაც შეეხება ნატო-ს. მაგრამ, არც ევროკავშირი რომ არაფერ სახეობის ვიქტორის, ამასში ჯერ კიდევ ასოციირების ხელშეკრულების ხელმოწერამდე განვითარებულია მოვლენებმა დაგვარწმუნეს. მოკლედ, გაშლილ დანზე ურტყამენ ხელს ევროკავშირის მეგობრები და ცოცხალი თავით არ გვანებებენ ჩვენს მდიდარ ეროვნულ ტრადიციებთან დარჩენას – ვინდათ თუ არა, კაცები პომოხეკსულებად უნდა იქცეთ, ქალები კი ლესოსულებად! მოკლედ, ევროკავშირის გადაამკიდებელი მალე ყველანი "გამოუკონიტილებით". ამასაც რომ თავი გვანებოთ (უფრო

დაწვრილებითი ფოტომასალა "კონნიტას" შესახებ იხილეთ გაზეთის ამავე გვერდზე). ევროკავშირში შესვლა გვიქადის პენსიებისა და შემწეობების კატასტროფულ შემცირებას და კომუნალური მომსახურებისა თუ პროდუქტებზე ფასების ასევე კატასტროფულ ზრდას!

ნუთუ იმდენი გამჭირავებლობა არა გვაქვს ქართველებს, რომ არ "შევეტნოთ" იმ სტრუქტურას, რომლის წევრებიც ევროკავშირს სტოვებენ. ნუთუ კიდევ ვერ დაგვწმენდით იმაში, რომ რესპუბლიკელებიც, ნაციონალთა მსგავსად, შეგარდნადის მოქცევის საშოში არიან დაზრდილ-დაფრთიანებულები და რა უბედურებაც საქართველოს ნაცებმა დააკლეს, იმას რომ რესპუბლიკელები მოათავებენ?

იქნებ ვინმემ ამისხნას, თუ რისთვის შევედვართ ევროკავშირში. ბაზარი გვინდა?

კეთილი, ბატონო, მაგრამ ვუშვებთ კი საქართველოში ისეთ კონკურენტუნარიან პროდუქციას, რომ ევროპული ბაზარი ავითვისოთ?

თანაც, თუ ბაზარი გვინდოდა, მაშინ რუსებთან რატომ ვაუარეხვდით დამოკიდებულებას. რა, რუსული ბაზარი წამებებიანი იყო ჩვენთვის?

ნუთუ მხოლოდ ხილითა და ღვინით გვინდა თავის გატანა? ან კი, ვის რაში სჭირდება ჩვენი ღვინო ევროპაში, როცა თავისი სად წაიღონ არ იციან და საქართველოში ეძებენ გასაღების ბაზარს?

მთელი ეს წლები, რაც ევროპისაკენ გვაქვს სახე მოღრეცილი, მხოლოდ ნედლეულის ბაზად ვიქცით მათთვის – მარტოოდენ ნედლეული გააქვთ ჩვენგან და კარტეგორიულად გვიკრძალებენ საკუთარი წარმოებების ამოქმედებას!

ასე განადგურდა საქართველოს ტყეები, ბუნებრივი რესურსებისაგან დაიცვალა ქვეყანა, დღე არ გაგა, სადმე მეწვერი რომ არ ჩამოწვეს, ზუსტად ისე, როგორც ამ რამდენიმე დღის წინ დარიალის ხეობაში მოხდა... როგორ ფიქრობთ, ევროკავშირის წევრები რომ გავხდებით, ეს პროცესები შეუქცევად სახეს არ მიიღებენ?

რა გამოდის – რესპუბლიკელები და მათთან ალიანსში მეოფი ნაციონალები ჩვენი ხელით არ გვანგრევენებენ ჩვენს სამშობლოს? განა ამის აშკარა დასტური არ გახლავთ მათ მიერ "ერთსულოვნად" მიღებული მამათ-მავლების მხარდამჭერი ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელსაც ერი და ბერი ერთნაირი მონღომებით ეწინააღმდეგება?

მეტი რაღა უნდა დაგვმართონ, ქართველი ადამიანი რომ დაფიქრდეს და პროტესტი განაცხადოს?

ამიტომ, კიდევ ერთხელ დაგვიქრდეთ: გვიღირს კი ეს ყველაფერი ამ გაუკუღმართებულ-გაუბედურებულ ევროამერიკულ ორგანიზაციებში თავის შეყოფად, საიდანაც მისი წევრები გარბიან?

საპ. იწვ.

# "ოსებმა ისეთი საიდუმლო ღოკუმენტები მაჩვენეს, ბავოცდი"

(გაგრძელება მე-4 გვერდიდან)

ორმოცი დღე იქაური უშიშროების საკანში ვიჯექი, სარდაფში. სულ 6 კვადრატული ოთახი იყო. დიაგნოზულზე გავლისას სულ ხუთი ნაბიჯი გამოდიოდა, მთელი დღე დავდიოდი, დაახლოებით 20-25 კილომეტრი გამოდიოდა დღეში. გავისხენე ყველა ჩემი საყვარელი წიგნი. უპირველესად, ჭაბუა ამირჯიბის "დათა თუთაშისა" და ლევან გოთუას "გმირთა ვარამი", ბევრჯერ მაქვს ორივე წაკითხული, თურმე ლამის ზეპირად მცოდნია. ერთს გეტყვით და აუცილებლად დაწერეთ, ვიდრე მთავრობაში მიიღებენ კაცს, ჯერ "გმირთა ვარამი" უნდა წაკითხონ აუცილებლად...

– დაკითხვაზე რითი ინტერესდებოდნენ ყველაზე მეტად?  
– მათთვის რა უნდა მეთქვა, როცა ჩემზე მეტი იცოდნენ. უშიშროების სამსახურის ისეთი საიდუმლო ღოკუმენტები მაჩვენეს, რომელიც ჩვენებს მიუტოვებიათ. გაოცებული ვიყავი... ერთი 80 ფოტო მაჩვენეს კიდევ, ლამის ყველგან მე, სანაკოვეი და აღმინს-ტრაციის თანამშრომლები ვიყავით, სხდომებიც კი გადაღებული ჰქონდათ, არ ვიცი, ვინ იღებდა ან რაში სჭირდებოდათ? 40 დღის შემდეგ გადამიყვანეს ციხეში. ძველი შენობაა, გასული საუკუნის სამოციან წლებში აშენებული. თურმე თავიდან გამოსაფხიზლებელი ყოფილა, რომლის უფროსადაც ერთ დროს ზემოსხენებული მიღებაში იყო მუშაობდა. ვეხუმრებოდი ხოლმე, რა იყო, ერთი გვირაბი ვერ გაჭერი-მეთქი? ცხინვალის ციხეში საკნები პატარაა, გაუფასავი და ნესტიანი. სულ 4-5 ქართველი იყო, რომელთაც შედარებით გრძელვადიანი პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. ხშირად მოჰყავდათ ეს ე.წ. სახდურის დამრღვევები, რომელთაც მალევე ათავისუფლებდნენ.

– პატიმრებს შორის ვინიყური ნიშნით თუ იყო კონფლიქტები?

– მე რომ მივედი, უკვე ნაკლებად, თუმცა, ვინც მანამდე იყო, ამბობდნენ, ახლა ნამდვილი სამოთხეა, ომის შემდგომ საშინლად ექცეოდნენ ოსები ქართველებსო.

ჩემი ციხეში ყოფნისას, ორი ქართველის გაღაზვას შევესწარი...

ისე მოხდა, რომ ოსებიც და ქართველებიც პატივისცემით მექცეოდნენ, ამიტომ ზოჯერ კონფლიქტის მშვილობიანად დასრულებაში ჩემი სიტყვა ჭრიდა. კვება საშინელი იყო, თუმცა, არაფრის შემოტანას არ კრძალავდნენ, მათ შორის ალკოჰოლისაც. ქალები და კაცები ერთ შენობაში არიან, ფაქტობრივად, ერთი კვდელი გვეყოფა.

– რას იტყვით თქვენს გათავისუფლებაზე, ოსებმა მარცხ დუდავეში გაგცვალეს?

– დანამდვილებით ვერ ვიტყვი. დუდავეი მისში გაათავისუფლეს, მე – დეკემბერში. მადლობის მეტი რა მეთქმის, პაატა ზაქარეიშვილმა ბევრი იმუშავა.

– რას ფიქრობთ ქართველებისა და ოსების შერიგებაზე?

– კონფლიქტები მეზობლებსაც მოსდით და ძმებსაც. ჩვენ ისეთი არაფერი დავმართინა, სხვასაც რომ არ შემოხვეოდა. ვფიქრობ, შერიგების იქით გზა არც გვაქვს, მაგრამ ამას სწორი პოლიტიკა სჭირდება, ეკონომიკური კავშირების გაძლიერება. ციხეში 300-ზე მეტ ოსთან მაინც მომიწია ურთიერთობამ. ერთი კაციც არ მინახავს რუსეთით კმაყოფილი, მაგრამ ამბობენ, სხვა გზა არა გვაქვსო. ეს გზა ჩვენ უნდა დავანახოთ, ოღონდ ლაპარაკით კი არა, საქმით. ხშირად ვუბნებოდი პატიმრებსაც და ბაღრაოვს წევრებსაც, განა რამდენიმე დარჩა სამხრეთ ოსეთში ოსი, ახალგაზრდობა გარბის, მხოლოდ მოხუცები რჩებიან, ეს თაობა მალე წავა, მათ ადგილს ვინ დაიკავეს-მეთქი?..

არც აფხაზეთშია უკეთესი მდგომარეობა, რადგან იგი დღეს გეოეკონომიკურ ჩინშია მოქცეული და მხოლოდ რუსეთის დახმარებით სულდგმულობს. მათთვის დღეს საქართველოსთან ყოფნა გადარჩენის ტოლფასია. 2008 წელს სააკაშვილი რუსეთზე მუშაობდა. არავის უხეირია იმ ომით, არც ქართველებს და არც ოსებს, რუსეთმა იხეირა. სააკაშვილი ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან აფუჭებდა ქართველებსა და ოსების ურთიერთობას, შერიგებულები ისევ დაგვაპირისპირა. ან დღეს ვის საქმეს აკეთებს უკრაინაში?! კოდორის ხეობა ვთქვათ, იქ რა უნდა რუსის ჯარს? სპეციალურად გაუშნა ეს ხეობა მოწინააღმდეგეს. კვიციანი, ავად თუ კარგად, იმ ხეობას უვლიდა. ამან კი ადგა და შეიყვანა პოლიციელები, რომლებიც ისე გამოიქნენ იქიდან, ერთმანეთს ასწრებდნენ. სამი ათას პოლიციელზეა ლაპარაკი. არადა, ის ისეთი ხეობაა, შეიძლება სამმა კაცმა შეაკავოს მთელი არმია. დღეს გამოდის დავით ბაქრაძე და ამაყობს... ბაქრაძეს მიემართავ, მაინც რითი ამაყობთ? 2007 წლის 7 ნოემბრით, 2011 წლის 26 მაისით, ან იქნებ 2008 წლის ომით და დახოცილი ბიჭებით? გახსოვთ, როგორ გადააბარეთ მოწინააღმდეგეს ახალგორი, კოდორის ხეობა, დიდი და პატარა ღიახეის ხეობების სოფლები, თუ იცით, რა ხდება დღეს ამ სოფლებში? დღეს მათგან მხოლოდ ნანგრევებია დარჩა. გახსოვთ ეს ყველაფერი?! თუ გახსოვთ, მაშინ ნამდვილად უნდა "იამაყოთ"!

6. დოლიძე

ესეც უნდა ეპროკავშირი! – გაღაზვარებული ბალერა

# კონნიტა ვურსტი და მისი ქმარი შაკ პატრიაკი: ეპროქართველებო! ასეთი რძალი ბინდათ?

ამ გაურკვეველი სქესის არსების სახელის წარმოთქმისას, გასაგებია მიზეზების გამო, "პოპ"-ს ორჯერ ვახსენებთ: კონნიტა ვურსტი – ეს არის ავსტრიელი პოპ-მოდელისა და ტრანს-ვესტიტის ტომას ნოიფორტის სცენური ფსევდონიმი.

ტომასი 1988 წლის 6 ნოემბერს დაიბადა სამხრეთ-აღმოსავლეთის ქალაქ გმუნდენში. ბავშვობა მომავალმა მომღერალმა შტირიაში გაატარა, სადაც სკოლა დაამთავრა. იმას, რომ ქალად გადაცმის მიდრეკილებას და არატრადიციულ გემოვნებას ამჟღავნებს, ტომასი ჯერ კიდევ ადრეული მოზარდობის ასაკში მიხვდა. უკვე მაშინ ის საკუთარი თავის ასოცირებას ქალთან უფრო ახდენდა, ვიდრე მამაკაცთან, და ამას თანატოლების წინაშე სულაც არ მალავდა.

მაშ ასე, სახელი მან თავისი ბებიის პატივსაცემად მიიღო, ხოლო მამამისს ალფრედ კნაკ ფონ ვურსტი ჰქვია. სიტყვა "ვურსტი" გერმანულ ენაზე "ძეგეს" ნიშნავს, ამიტომ პურნალისტიკები მომღერალს დამცინავად ხშირად უწოდებენ "წვერიან ძეგეს", თუმცა კონნიტას ეს ნაკლებად აღუვლებს.

ნოიფორტის აშკარა აღიარების შემდეგ, რომ ის გვია, საზოგადოებას მშვიდად შეეძლო მისთვის თვალის დევნება. 2011 წელს პოპ-მოდელმა ვურსტმა განაცხადა, რომ არა მარტო ხდება "ზურღესის" მოცეკვავე შაკ პატრიაკს, არამედ უკვე ოთხი წელია, მასთან კანონიერ ქორწინებაშიც ცხოვრობს.

საქინფორმი





# სამეგრელოს დირსეული შვილები



ოთარ დადიანის ნაირი, ავსტრიის ფრონტიდან გამომგზავნილი მეუღლისადმი

ბიძაჩემ დავითისგან ვიცი, რომ ეს მგზავრობა იყო მეტად ძნელი სასტიკი თოვლიანი ვაშლი, მაგრამ დაბრკოლება ბუნებისა მაინც იქნა გადალახული და მშვიდობით ჩავიდნენ სვანეთში, სოფელ ბეჩოში, მთავრის, ისლამ დადემქელიანის ოჯახში. გამიგია თუ რა ზომები მიუღია მაშინდელ კავკასიის მმართველს ბარონ როზენს, მაგრამ ვერაფერს გამხდარა, რომ ურჩი სვანეთის მთავარი და მისივე ურჩი სიძე გიორგი დადიანი თავისი ძმით, ბესარიონით, და ამალით რუსებისათვის გადაეცა, „ვისაც უნდა გიორგი შეიპყრას, მოზრდნეს და პასუხს მე გავცემო, ის ჩემი სტუმარია და არავის მივცემ ნებას შეურაცხყო ჩემი სტუმარი და სიძეო“. ეს მიწერ-მოწერა ანუ მისი ასლი მეც წამიკითხავს ჩვენი ოჯახის წიგნთ-საცავში, რომელიც 1906 წლის 2 თებერვალს ალიხანოვ-ავარიელის დამსჯელმა რაზმმა, მამიჩემის დანატოვარ სახლ-კართან ერთად, ცეცხლის ალს მისცა. ამაზე შემდეგ, ბიძია დავითი მომიტხრობდა, რომ 1831-32 წლებში ბაბუა გიორგი ესტუმრა კავკასიის მთიელ ალანებს (ყარაჩებს), ყაბარდოელებს და ყუბანის ჩერგეზებს, რომელთაც მაშინ ყოფნა-არყოფნის შეუწყვეტელი ომი ჰქონდათ ახალშემოჭრილ უცხო ძალასთან ჩრდილო კავკასიაში, რუსებთან, „ლინიინი ყაზახების“ სახით. მათ დიდის პატივით მიიღეს გიორგი, მოუსმინეს მისი გაჭირვება და მისცეს რამოდენიმე ათასი მეომარი მთიელი, რომელთა შემწეობითაც ბაბუა გადმოვიდა (1832-33 წწ) ნაპარის უღელტეხილით (ქლუხორის გადასავალი) ყუბანის ოლქიდან სოხუმისაკენ, აფხაზეთში. ესტუმრა თავის სიძეს მიხეილ (ჰამუდ-ბეი) შერვაშიძეს, რომელმაც დაახმარა შეიარაღებული აფხაზები და იგი დაბანაკდა ენგურის პირად. გაიმართა მოლაპარაკება სამეგრელოს მთავართან – ლევან დადიანთან, ცნობილ გენერალ ესპეხოვთან. ადვილი წარმოსადგენია თუ რა გუნებაზე დადგებოდა მთავარი და მისი მოკავშირე ერთი ბატალიონის ამარა რუსის ლენერალი. რომ არ გავაგრძელო, ეს ამბავი მშვენივრად აქვს აწერილი თავის პოემალექსში იოსებ ვახტანგის ძეს ანჯაფარიძეს, სოფელ ჯოლევეში მცხოვრებ მოხუცს. შედეგი იყო შერიგება, გიორგის და ბესარიონის შინ დაბრუნება, მაგრამ გიორგი სიკვდილამდის მაინც დარჩა შეურიგებელი მტერი ახალშემოჭრილი ძალისა და ასევე დალია

თავის დღეები 1881 წლის ქრისტეშობის თვეში. მახსოვს ეს ამბავი, თუმცა ექვსი წლისა ვიყავი, მახსოვს კარგად, რომ სატირალში ჩემმა გამზრდელმა ნამიყვანა, შავი ჩამაცვეს-შემსუდრეს, მიუხედავად ჩემი სურვილისა, ძალითაც კი მაძახეს „ვავა, ბაბუა“, მომატარეს ზალაში. თვალწინ მიდგას ის დიდი ეზო სოფელ ჭკადუაში სრა-სასახლე ბაბუასი, დიდი ჩარდახი, ზალაში უშველებელი კუბო და ის ტრადიციული ჩვეულებრივი ტირილი. მახსოვს, პირველად ვნახე ძვირფასი ეტლი, მშვენიერის ცხენებით შებმული, რომელიც ეკუთვნოდა სამეგრელოს მთავრისა ეკატერინე დედოფალს, თვალწინ მიდგას აუარებელი ხალხით გატენილი ეზო. თითქოს ეს ყოველი გუშინ ყოფილიყო. 1883-84 წლებში, მახსოვს, გადაასახლეს მამაჩემი კონია, რომელსაც წერილი მივწერე ჩემი ძიძის, დედა ივლიტას კარნახით. ქართული წერა-კითხვა მისგან ვისწავლე და ძიძა ელისაბედისაგან, 1885-86 წლებში მომამორეს ჩემს საყვარელ სამეგრელოს და ჯერ სოფელ ჭკადუაში მომათავსეს ეკლესიის სკოლაში, შემდეგ კი მამისჩემის მოურავ მალაქია ჩაჩიბაიას მეოხებით, სოფელ კინიაში მიმბარეს მოსამზადებლად ვლადიმერ ზურაბის ძე ჩაჩიბაიას, რომელმაც მომამზადა გიმნაზი-

## მუშნი დადიანი – სამეგრელოს შვირული რაინდი

სათვის. 1887 წელს შემეყვანეს ქუთაისის გიმნაზიის პირველ მოსამზადებელ კლასში. ბინა მქონდა სტეფანე გუგუშვილისას, რომელსაც ცოლად ჰყავდა კესარია გაბუნია ასული (დღესაც ცოცხალია). გიმნაზიაში დავყავი მეხუთე კლასამდის. მახსოვს გიმნაზიაში მომხდარი ღირსშესანიშნავი პოლიტიკური კურობი, როცა გაეგო დირექციას (სტაიანოვი და ჩებუნი), რომ გიმნაზიაში გამოდიოდა ხელნაწერი ჟურნალი კვირეული „საქართველო“ კლიმენტი თოფურიძის მეთაურობით, ერთი ვაიუბედურება დაატრიალეს, დაერივნენ ხელმძღვანელებს, ზოგიც გიმნაზიიდან დაითხოვეს, მათ შორის, მეშვიდე კლასის მოწაფე მისა შენგელია. როგორც ინსპექტორი ჩებუნი გაჰკიოდა, მათ უნდაო – „Создать свободную Грузию“. ეს იყო დაახლოებით 1889-90 წლებში, ანუ მეორე-მესამე კლასში ჩემი ყოფნის დროს. ისიც მახსოვს, რა ამბავი დაატრიალეს სტოიანოვ-ჩებუნი მართო იმისათვის, რომ საღვთო რჯულის მასწავლებელმა მღვდელმა გიგაურმა აკაკის ნაწერებიდან „თორნიკე ერისთავი“ წაგვიკითხა და განგვიმარტა შინაარსი, ქართველ მეფეთაგან საბერძნეთისადმი განუღივლი დახმარება და სხვა. დიდი ალიაქოთი ასტეხეს რუსიფიკატორებმა. მშვენიერი ადამიანი იყო გიგაური, თოვლივით თეთრი თმა ჰქონდა, ძალიან უყვარდა მონაწიეებს, არ მახსოვს, რითი დასაჯეს გიგაური, მაგრამ ის კი ვიცი, რომ შემდგომ მას ჩვენთვის მსგავსი არაფერი აღარ წაუკითხავს.

მახსოვს 1888 წლის 8 სექტემბერი, როცა რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე მესამე თავისი მეგობრით ნიკოლოზით ესტუმრა ქუთაისს, როგორ „გააბედნიერა“ მან თავისი მოსვლით ბრწყინვალე ნოდებმა. მახსოვს, რა საჩქაროდ აავსეს შიგ ქუთაისის ბაღში მისი მისაღები ხის მშვენიერი სახლი. მახსოვს ისიც, რომ მამაჩემი და გიორგი ჰამუდ-ბეის ძე შერვაშიძე, მამისჩემის დისწული, უკანასკნელი მეგობრად აფხაზეთის მთავრისა, ქუთაისიდან გააძევა მთავრობამ და ნება არ მისცა, ორთავ ხელმწიფის ჩამოსვლისას იქ ყოფილიყვნენ. მაშინ გავიგე თუ რა თვალთუყურებდა მათ მთავრობა და შემდეგ კი,

როცა დრო და ჟამმა განვლო, ხომ ნათელი შეიქმნა ჩემთვის ყოველივე მათი განწყობილება რუსის მთავრობასთან.

გიმნაზიაში სწავლაზე გული ამიცრუვდა მეოთხე კლასში ყოფნის დროს, ასე, რომ ჩემი სწავლის საქმე შეფერხდა, დამტოვეს მეოთხეში, რადგან ყველა გამოცდების მშვენივრად ჩაბარების შემდეგ რუსული, ებრეთნოდებული „საჩინენის“ დაწერას არ დავესწარი, სოფელში წავიდი პირდაპირ. იქ კი გამზრდელი და მშობლები მოვატყუილე, მეხუთეში გადავედი-თქო. ტყუილი მალე გამიგეს, მამა ძლიერ გამიჯავრდა, სახლიდან გამოგადლო და ისევ კონია მხეიძემ, ჩემმა გამზრდელმა, წამომიყვანა სახლში. გაზაფხული გათავდა და, მამის სურვილის თანახმად, გავემგზავრე ქუთაისში. აქ მივებარე შტაბს-კაპიტან სმირნოვს, რომელსაც უნდა მოვემზადებინე კადეტთა კორპუსის მეშვიდე კლასის გამოცდისათვის (Экстерно). მაგრამ 19 მარტს 1895 წლის მარტში ისევ ავიცრუე სწავლაზე გული. მასწავლებელმა ამხელა მოზრდილ ჭაბუკს სილა მაჭამა. ვერ ავიტანე ეს შეურაცხყოფა, ვიშოვე რევოლვერი, ერთი ვაზნით. ვუდარაჯე თეთრ ხიდთან, რომ კაზარმიდან მომავალი მასწავლებელი მომეკლა. შემდეგ

დავფიქრდი და თითონ პეტრე-პავლეს ეკლესიასთან ვარჩიე თავის მოკვლა, ამ მიზნით ტყვია ვიკარ მარცხენა მკერდთან, გულის ახლო, მაგრამ როგორც მხედავთ, დღესაც ცოცხალი ვარ, თუმცა არ ვიცი, რისთვის? ეს იყო 1895 წლის 19 მარტი, სამშაბათი, აი რა იყო მიზეზი ჩემის თავის მოკვლის განძრახვისა და არა რომანული ნიადაგი, რომელიც ყოველივე საფუძველს მოკლებულია. ან რისთვის დავმალე ახლა მაინც, 1924 წელს, 49 წლის კაცმა. ასე უფერულად მიდიოდა ჩემი სიჭაბუკე 1897 წლის ზაფხულამდის. ვეხმარებოდი მამას მისი ლექსებისა და პოემების შედგენა-გადანერაში. ხანდახან თითონაც ვწერდი ლექსებს. ლექსის წერა რომ დავიწყე, ცამეტი წლისა ვიქნებოდი, მაგრამ მაინც უფერული იყო ჩემი ცხოვრება.

1897 წლის გაზაფხულზე ჩამოვედი ტფილისში. პირველი წავედი აქსტაფიდან ჯავაურის უღელტეხილით დელეჟანსით ყარსზე და მივედი ალზევანს, სადაც დავყავი მთელი ზამთარი. 1898 წელს ჩამოვედი ისევ ტფილისში და შევედი 44-ე დრაგუნთა პოლკში „ვოლნოპრედელიაუშჩად“. მაშინათვე გამავ ზავნეს ელისაბედოლის კავალერიის სამხედრო სკოლაში, სადაც დავყავი 1899 წლამდე. ამხანაგის გალახვისათვის გამოგზავნეს ისევ უკან პოლკში, სადაც ვიმყოფებოდი 1900 წლის თებერვლამდე. მერე გავიდა სამხედრო სამსახურიდან, სათადარიგო ჯარში ჩამრიცხეს. რუსეთში ყოფნის დროს გავეცანი რევოლუციურ ლიტერატურას, პირველი მარტის პროცესს, ნაროდნია ვოლია და ჩორნი პერედელის, მიხაილოვსკისა და კარლ მარქსის მოძღვრებას. პირველის შეხედულებამ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა ჩემზე. ამ დროიდან ჩავები ხალხის განმათავისუფლებელ მოძრაობის ფერხულში, გავეცანი ყენევაში დაარსებულ და გამოცემულ ჟურნალს „საქართველოს“, მისგან წამოყენებულ მიზანს, ამოცანებს და გავხდი არჩილ ჯორჯაძის მიმდევარი. ეს იყო 1904 წელს. გაზეთი მოსდიოდა გიორგი მიხეილის ძე შარვაშიძეს, დათა მიქელაძეს და ინჟინერს ჯორჯაძეს, ქუთაისში. მთელი ჩემი ყურადღება და გრძნობა დაიპყრო 1898 წლის

განმათავისუფლებელმა მოძრაობამ და არსებული წესწყობილების წინააღმდეგ ბრძოლამ. შეძლებისადაგვარად ვემსახურებოდი მას. მამაჩემმა ეს რომ გამიგო, ძლიერ გამიჯავრდა, მაგრამ როცა დარწმუნდა, რომ მე უკვე ჩაბმული ვიყავი მის მორევში, თავი დამანება და გზა დამილოცა.

აქ საჭიროდ მიმაჩნია ორიოდ სიტყვით მოვიგონო მამაჩემი კონია გიორგის ძე დადიანი. დაიბადა 1846 წელს, მარტის თვეში. იმ დროს მარტვილი ყოფილა თავშესაფარი და გიმნაზიის მაგიერი ჩვენი საგვარეულოსათვის, მთელი სამეგრელოსათვის, ეს იყო დადიანების გვარის აკლამა, სადაც პაპაჩემი, დიდი ნიკო მარხია, სადაც უსწავლია ქართული წერა-კითხვა მამას სასახლის მღვდელ დავით მაჭავარიანისაგან, რომელიც შემდეგ სამურზაყანოში იყო სოფელ ოქუმში მღვდლად. მამაჩემიც მასთან იყო, სწავლობდა. მითუმეტეს, რომ მისი გამზრდელი კაცი ემუხვარი, სადაც ჩემი მამა იზრდებოდა, ოქუმელი იყო.

მამაჩემი ეკუთვნის თავის დროის ქართველ ლიტერატორებს, პოეტებს. მისი ნაწარები – პოემა „ყანაშაუბი“, „ქებახან“ და სხვა ლექსები დაიბეჭდა თავის დროზე, შემდეგ კი 1883-84 წწ. ჟურნალ „ივერიაში“ ილია ჭავჭავაძის რედაქტორობით. ბევრი მისი ნაწარები 1884 წელს დაინვა ქ. კავკავეში, სადაც მამაჩემი გადასახლებული იყო, როგორც „მავნე პირი“ მაშინდელი მმართველის, დუნდუკოვ-კორსაკოვის მიერ. მამაჩემის ცხოვრებაში აღსანიშნავია მისი შეურიგებლობა და მუდამ ბრძოლა რუსის მოხელეებთან. ამის გამო გადაკიდებული ჰყავდა მაშინდელი ხელისუფალნი. ქუთაისის ლენერალ-გუბერნატორი ლევაშოვი, შემდეგ გროსმანი, ზუგდიდის მაზრის უფროსი, პოლკოვნიკი, ტომით ბოლგარი, ასპალატბოლი. მან არაერთ დიდ მოხელეს სცემა, რაზედაც გადასახლებულ იქნა ჯერ რუსეთში, შემდეგ კავკავეში. მამაჩემი ძალიან მოურიდებლად ექცეოდა მთავრობის მოხელეებს, ძლიერ მაგარი კაცი იყო. სანიშნავად მოვიყვანე რამდენიმე მაგალითს. ქ. კავკავეში ჩამოვიდა მაშინდელი ხელმწიფის მოადგილე დუნდუკოვ-კორსაკოვი, რომელიც იცნობდა მამაჩემს. სადგურზე მას დახვდნენ, როგორც ჯარების, ისე ადგილობრივი ადმინისტრაციისა და ჟანდარმერიის უფროსები. მამაჩემიც შემთხვევით იქ იყო, კისლოვოდსკი მიმავალი. რომ დაინახა დუნდუკოვმა, ხელი ჩამოართვა და უთხრა: „თქვენ დიდმთავარივით ცხოვრობთ და რაღაზედ ჩივით, რაღა გინდათო“. „უკაცრავად, მაგრამ ჩემი შედარება დიდმთავართან უადგილოდ მიმაჩნია, რადგან ერთმა დიდმა მთავარმა დედამისს ხატი მოპარა, მე კი არც ხატი, არც ჯვარი არავისთვის არ მომიპარავს და რისთვის გადამასახლეო“. დუნდუკოვს რასაკვირველია, ძლიერ ეწყინა, ზურგი შეაქცია მამაჩემს და წავიდა. მამამ ერთხელ ტფილისის ბაღში მაგრად გალახა ლენერალი, რომელიც ქართველებს უდიერად იხსენიებდა. ასევე ნაცემი ჰყავს ლეჩხუმის მაზრის უფროსი კაპიტანი გრინეცკი, რომელიც 1877-78 წწ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ სვანეთის ექსპედიციის დროს მოკლეს სოფელ ხალდეში. არაერთი და ორი მთავრობის მოხელე უცემია და დულში გამოუწვევია მას და ყოველთვის მათ ეჩხუბებოდა (სხვათაშორის, ლენ. გრიაზნოვი).

მას დარჩა დაუბეჭდავი პოემები და პატარა ლექსები, რომელთა უმრავლესობა მე მაქვს.

ემზარ კვიციანი  
(გაგრძელება შემდეგ ნომერში)



ჩვენი კომენტარი ბატონ გურამ კორკელიას წერილზე „ცოტა რამ კოლხეთსა და კოლხურ დამწერლობაზე“

ამრიგად, შეჯამებულად რომ ვთქვათ, მეგრულის ზმნური ფორმები, (ესენი ამ ენის მთელი ლექსიკის 99,9 პროცენტს შეადგენენ და კერძოდ, ხმაბაძვითი წარმო-

მავლობის ზმნური ფორმები (ესენი კი მეგრულის მთელი ლექსიკის 99,2 პროცენტს შეადგენენ), საგნის მოქმედების გამოხატვასთან ერთად, გვინფუნებენ ამ მოქმედების მიმართულებასაც და ადგილსაც და წარმოაჩენენ თვით მოქმედი საგნის ნიშანთუცხეობასაც ანუ დახასიათებასაც.

ამრიგად, მეგრულის ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი აღწერილობითი ხასიათისაა. ეს იმას ნიშნავს, რომ, მათ, ჩვეულებრივ, არ გააჩნიათ პირდაპირი შესატყვისობანი სხვა ენებში, მათ შორის, ქართულ ენაშიც. ასეთი სიტყვების ქართულ და სხვა ენებზე თარგმნა შესაძლებელია მხოლოდ სხვადასხვა სიტყვების მოხმობით და ისიც მხოლოდ მი-

ახლოებითად. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მეგრულის სიტყვები საგანთა სამყაროს აღწერენ ისევე, როგორც ის სინამდვილეში არის წარმოდგენილი.

ამასთან, როგორც ზემოთ აღინიშნა, მეგრულის ლექსიკა მოიცავს 1,5 მილიარდამდე სიტყვას პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებითურთ, საიდანაც, სავარაუდოდ, თანამედროვე მეგრულში ხმარებადია 500 მილიონი (თუ არა მეტი) სიტყვა. რა არის მიზეზი ამ გასაოცარი რეალობისა?

პასუხი ასეთია: ეს განპირობებულია იმით, რომ მეგრულისთვის დამახასიათებელია საგრამატიკო საშუალებების (დერივატი ანუ მნიშვნელობამცვლელი აფიქსებისა და სხვათა სახით) გასაოცარი სიმდიდრე. მაგრამ, რითაა განპირობებული ამით ასეთი სიმდიდრე?

როგორც ზემოთ, თავის ადგილას აღინიშნა, ნახევრადხმოვანი (მასთანავე, ნახევრად თანხმოვანი) ბგერისთვის, საჭიროებისას, დამახასიათებელია გასრულხმოვანების (ა, ე, ი, ო, უ ხმოვან ბგერებზე გარდაქმნის) უნარი. ხმოვნებისთვის კი დამახასიათებელია მისწრაფება მარცხის დახურვისაკენ, რაც გამოიხატება ბოლოში დავიწროვებში და ამა თუ იმ თანხმოვან, უპირატესად სონორ (ლ, მ, ნ და სხვა), ბგერად გარდაქმნის უნარი, რის საფუძველზეც მიიღებიან სუფიქსები.

შედგავდ ამისა, მაგალითად, ბუხის ბუხლის გამოხატველი ბუხუ შორისდებულიდან მიღებული ბ)ხ) ძირისეული თანხმოვნური ფორმა, მეგრულში, გახმოვანებულია ხუთივე ხმოვნით, ამასთანავე, უხვად ირთავს საგრამატიკო საშუალებებს და გვაქვს ფორმები: ბაზ-ალი, ბეზ-ერი, ბიზ-ალი, ბოზ-ორია, ბუზ-ურია, ბაზ-ალან(ც), ალუ-ბაზ-ალ, ინი-ბაზ-ალ და ასე შემდეგ, სულ 1 398 120 სიტყვა, მაგრამ იგივე ბ)ხ) ძირისეული ფორმა, ქართულში შიგაგახმოვანებულია ერთადერთი უ ხმოვნით და გვაქვს ფორმები: ბუხი, ბუხილი, ბუხის და სხვა, სულ 10-მდე სიტყვა.

ანალოგიურად: მაგ., ჩხ(რ)ჩხ) ძირისეული თანხმოვნური ფორმისგან (ჩხრრ ჩხრ შორისდებულიდან) მეგრულში გვაქვს 1 მილიონამდე სიტყვა, ქართულში კი მხოლოდ 10-მდე სიტყვა; ბ)წ) ძირისეული თანხმოვნური ფორმისგან მეგრულში გვაქვს 2 618 610 სიტყვა, ხოლო ქართულში მხოლოდ 4 სიტყვა; წ)რ) ძირისგან მეგრულში გვაქვს 2 324 088 სიტყვა, მეგრულში კი მხოლოდ 2 სიტყვა; კ)რ) ძირისგან, როგორც ზემოთაც აღინიშნა, მეგრულში გვაქვს 4 757 619 სიტყვა, ქართულში კი მხოლოდ 32 სიტყვა და ა. შ.

ანალოგიურად, მაგ., გენჯ(ღ) ძირისეული თანხმოვნური ფორმისგან მეგრულში გვაქვს 1 304 188 სიტყვა, ფ)შ) ძირისგან 2 094 888 სიტყვა (მონაცემებში ყველაზე მეტანია პარალელური, იშვიათად ხმარებადი და პოტენციურად შესაძლებელი ფორმებიც) და ასე შემდეგ. ეს მაშინ, როდესაც ამგვარი ძირები, და მაშასადამე, ამგვარი ძირიანი სიტყვები ქართულში საერთოდ არა გვაქვს. რაც განსაკუთრებით

ფორმებზეა დამყარებული მეგრულის ზმნური ფონდის და თვით მთელი ლექსიკის აბსოლუტურად უდიდესი ნაწილი.

რაც ასევე ფრიად საინტერესოა, მეგრულის მთელი ზმნური ფონდი (და მაშასადამე, მთელი ლექსიკის 99,9 პროცენტი) მიღებულია საგრამატიკო საშუალებების (იგულისხმება დერივატი ანუ მნიშვნელობამცვლელი საგრამატიკო საშუალებები, და, არა გრამატიკული მორფემები) კოლოსალური სიმდიდრის წყალობით, რომელთა საერთო რაოდენობა 523 ერთეულს შეადგენს. მათ შორისაა: 76 პირველადი საწყისისეული სუფიქსი, 336 მეორეული (მესამეული და ა. შ.) წარმოების სუფიქსი, 6 ინფიქსი (ა, ე, ი, ო, უ, ), 8 პრეფიქსი და 94 ზმნისწინი და 3 ნაწილაკი (პრეფიქსად). ეს მაშინ როდესაც, ქართულში ანალოგიური საგრამატიკო საშუალებების რიცხვი 50 ერთეულამდე გვაქვს (მათ შორისაა 15 ზმნისწინი).

ცხადია, ყველაზე მთავარი საფუძველი მეგრული ენის ლექსიკის ესოდენ გასაოცარი სიმდიდრისა მდგომარეობს შემდეგი: აურაცხელია საგანთა რაოდენობა დედაძინაზე და სამყაროში. მით უფრო აურაცხელია საგანთა ნიშან-თვისებები, ასევე, – საგანთა მოძრაობის ფორმები და მიმართულებანი, მათი გადაადგილებანი სივრცეში და ერთმანეთთან მიმართებაში და. ა. შ.

ყველაფერი ეს ენაში უნდა ასახულიყო. საბუნდევროდ, თანამედროვე მეგრულმა (გივე კოლხურმა, იგივე იბერიულმა) ენამ, რომელიც ჩვენი გამოკვლევების შედეგების მიხედვით, წარმოადგენს ადამის დროიდან მომდინარე ენას ანუ ადამიანთა ენას (ადამის ენას), – პირდაპირ გაგრძელებას იაფვეტური ენისა, – თავისი არსებობის მრავალფეროვნებას პერიოდში მოახერხა, რომ განსაკუთრებით სრულად და ზედმიწევნით აესახა საგანთა სამყარო, მისი თავისებური ენობრივი მოდელის შექმნის მეშვეობით.

ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საგნების ლოგიკურად, გამოდის ასეთი დასკვნა:

მეგრული ენა, – სიტყვათა აღწერილობითი ხასიათისა და ლექსიკის კოლოსალური სიმდიდრის წყალობით, წარმოადგენს საგანთა უნივერსალური სამყაროს უნივერსალურ მოდელს. ამჯერად, საჭიროა აღინიშნოს შემდეგი: ჩვენ, მხოლოდ გამოკვლევების ობიექტის – მეგრული ენის მთელი ლექსიკის სიტყვათწარმომავლობის, ასე ვთქვათ, უბრალო შესწავლით არ დაკმაყოფილებულვართ, არამედ მოვახდინეთ ამ ლექსიკის შემადგენლობის მრავალმხრივი ანალიზი. შედეგად ამისა, წარმოჩნდა შემდეგი რეალობანიც:

მეგრული ენის მთელი ლექსიკის წარმომადგენელი 6652 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან ზმნური ფონდი (ზმნები და სახელზმნები დამყარებულია სულ რაღაც 2202 ძირისეულ თანხმოვნურ ფორმაზე ანუ მიღებულია ამათი აფიქსაცია-გრამატიზაციით და ეს ფონდი შეადგენს მეგრულის მთელი ლექსიკის 99,9 პროცენტს და მხოლოდ დანარჩენი 0,1 პროცენტი (უფრო სწორად, ამაზე ბევრად ნაკლები, კერძოდ, მხოლოდ 26000-მდე სიტყვა, ერთნახევარი მილიარდი სიტყვიდან) შეადგენს მეგრულის სახელებსა და სხვა მეტყველების ნაწილებს.

თავის მხრივ, მეგრულის ზმნური ფონდის წარმომადგენელი 2202 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან ზედნარჩევი სახელისეული წარმომადგენლისაა 1869 ფორმა ანუ 85 პროცენტი და მათზეა დამყარებული მეგრულის ზმნური ფონდის (და თვით მთელი ლექსიკის) 99,2 პროცენტი; იმავე 2202 ძირისეული თანხმოვნური ფორმიდან არსებითი სახელისეული წარმომადგენლისაა 309 ფორმა ანუ 14 პროცენტი და მათზეა დამყარებული მეგრულის ზმნური ფონდის (ასევე მთელი ლექსიკის) 1,9 პროცენტი, დაბოლოს, საკუთრივ ზმნური წარმომადგენლისაა 614 ძირისეული თანხმოვნური ფორმა ანუ 27,9 პროცენტი და მათზეა დამყარებული მეგრულის ზმნური ფონდის (და თვით მთელი ლექსიკის 6,5 პროცენტი.

ასევე ფრიად საინტერესოა შემდეგი ფაქტები:

მეგრულის ზმნური ფონდი მოიცავს 2557 უზმნისწინო-უპრეფიქსებო ფორმას, რაც იმას ნიშნავს, რომ ამ ენის ზმნური ფონდის წარმომადგენელი ყოველ ერთ უზმნისწინო-უპრეფიქსებო ფორმაზე საშუალოდ მოდის 573 ზმნისწინიან-პრეფიქსიანი ფორმა (სიტყვა). ამასთან, გამოანგარიშებული გვაქვს ისიც, თუ რამდენი სიტყვა გვაქვს მეგრულის ზმნურ ფონდში ა-თი, ე-თი, ი-თი, ო-თი, უ და )-თი შიგა გახმოვანებული ფორმების სახით.

ცხადია, ანალოგიური გაანგარიშებანი გაკეთებული გვაქვს მეგრულის ზმნური ფონდის წარმომადგენელი ყოველი ძირისეული თანხმოვნური ფორმის შესახებაც.

მკითხველი უთუოდ წარმოიდგენს, თუ რა კოლოსალური მუშაობა დასჭირდებოდა თუნდაც მხოლოდ ზემოთ აღნიშნულთა (სხვაზე რომც არაფერი ვთქვათ) უბრალო გამოანგარიშებასაც კი.

აი, მოკლედ იმის შესახებ, თუ რა უარყოხელის ერთი მოსმით, თავისი ჭკუით, ბატონმა გ. კორკელიამ.

ჩვენმიერი ცალკეული მონაცემების, თანაც, ძალზე შემოკლებულად, გადმოცემის მიუხედავად, მკითხველი უთუოდ დაინახავდა, თუ როგორი რადიკალური განსხვავებებია, სიტყვათწარმომადგენლობის კვლევა-ძიების საქმეში ჩვენი და ცალკეულ თვითგამოცხადებული მეცნიერ-მკვლევარების მიერ წარმოდგენილ მონაცემებს შორის.

ყოველივე ზემოაღნიშნულმა განაპირობა ჩვენი ეს კომენტარიც (ზოგიერთი მონაცემის მოხმობით) გ. კორკელიას აშკარად ინტრიგულ და სრულიად უსაფუძვლო საგაზეთო წერილთან დაკავშირებით.

ჩვენ კარგად გვეხმის, რომ გ. კორკელიას ყოველად უსაგნო და ყოველგვარ აკადემიურობას მოკლებული წერილი ვერავითარ ჩრდილს ვერ მიაყენებს ჩვენს ნაშრომებს, მაგრამ გვაფიქრებს თავად ავტორის, როგორც ქართველი კაცის, დამოკიდებულება საკითხისა, საქმისა და ადამიანებისადმი, რასაც გონიერულს ნამდვილად ვერ ვუწოდებთ.

სომ ფაქტია, რომ ჩვენი ნაშრომებით უდიდეს კმაყოფილებას, სიამოვნებას და აღტაცებასაც კი განიცდიან ყველანი (გარდა ცალკეული მეგრულთმომთქმელებისა), როგორც ქართველები ასევე უცხოელები.

მაშ, რა სჭირს გ. კორკელიას? რა არის მიზეზი მისი საქციელისა: თავის გამონიშნის ავადმყოფური სურვილი? მეგრულთმომთქმეთა და თვისტომის დამწუნებელთა ბანაკში დგომის მისწრაფება? პირადი ინტრიგული ხასიათი? თუ, – ესენი და ბევრი სხვა რამ, ერთად აღებული?

ჩვენ ყოველთვის გვანტერესებდა, მკითხველებისგან მიგველო საქმიანი შენიშვნები და სასარგებლო წინადადებები. ასედაც ვთხოვდით, მათ, ნაშრომების წინასიტყვაობებში. ასე რომ მოქცეულიყო გ. კორკელია, ძალიან გვესიამოვნებოდა. მაგრამ, მას არათუ ასეთის უნარი, არამედ უბრალო სურვილიც კი არ აღმოაჩნდა. პირიქით, – იგი, თავისი ყოველგვარ მეცნიერულობას მოკლებული მოსაზრებებით, ჩვენი ნაშრომების უარყოფასა და განქიქებას შეეცადა. იმაზე კი, აშკარაა, საერთოდ არც კი უფიქრია, რომ საამისოდ მას ელემენტარული ენათმეცნიერული ცოდნა და კომპეტენტურობა არ გააჩნდა; მას, რატომღაც, მხოლოდ მიზანი ამოძრავებდა, – ბოროტი მიზანი.

ფრიად სამწუხაროა, რომ, ერთი ცნობილი ავანტიურისტის ასევე ცნობილი განაცხადისა არ იყოს, გ. კორკელიას, როგორც ჩანს, მეცნიერება და, კერძოდ, ენათმეცნიერება „ლობობანას თამაში“ ჰგონია. სინამდვილეში კი, ენათმეცნიერება, მსგავსად ფიზიკისა, მათემატიკისა და ტექნიკური მეცნიერებებისა, ზუსტ მეცნიერებას წარმოადგენს და უეცრობის სასარგებლოდ იგი ნამდვილად ვერ გამოდგება.

დასასრულს, მოკლედ და კონკრეტულად რომ გამოვხატოთ ის, თუ რატომ არ შეიძლება შემდგარიყო ჩვენი პოლემიკა

ბატონ გ. კორკელიასთან, აღვნიშნავთ შემდეგს:

მეცნიერება სხვა არაფერია თუ არადა ჭეშმარიტების წარმოჩენა.

ჭეშმარიტებაა, მაგალითად, ისიც, რომ წვიმს და თოვს, მაგრამ ამის ქაღალდზე აღნიშვნა თუ ზეპირი გაცხადება, მეცნიერება ვერ იქნება.

მაგრამ, ახსნა იმისა, თუ რა იწვევს წვიმასა და თოვლს, უკვე მეცნიერებაა, და თუ ამგვარი რამ პირველადაა წარმოჩენილი, მეცნიერულ აღმოჩენად ითვლება.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საგანთა სამყაროსთვის (საგანთა ბუნებისთვის) დამახასიათებელია ადამიანის ნებისაგან დამოუკიდებელი კანონებისა და კანონზომიერებების არსებობა. ასეთებს განეკუთვნება, მაგალითად, პასკალის კანონი, ნიუტონის კანონები და ა. შ. მეცნიერებას, უწინარეს ყოვლისა, ამგვარი კანონებისა და კანონზომიერებების მიგნება და წარმოჩენა აკისრია.

ასობით (შესაძლოა, ათასობითაც) თეორია და ჰიპოთეზა არის წარმოდგენილი ჩვენს ნაშრომებში და, მათი ფასეულობა და შეუვალობაც სწორედ იმაშია, რომ ისინი, როგორც წესი, წარმოაჩენენ საგანთა ბუნებისათვის (ამ შემთხვევაში ენის ფუნქციონისათვის) დამახასიათებელ კანონზომიერებებს.

ასე, რომ, ჩვენი ნაშრომების მონაცემები, ჩვენს უბრალო მოსაზრებებსა და პოზიციას კი არ წარმოადგენენ, არამედ, ობიექტურ რეალობას, ანუ ჭეშმარიტებას და მხოლოდ ჭეშმარიტებას, და, მათი შეცვლა არც ბატონი გ. კორკელიას და არც პირადად ჩვენს ნება-სურვილზე არ არის დამოკიდებული.

ჩვენ არ ვიცით, გაიგებს და ირწმუნებს კი, რამეს, ჩვენი კომენტარიდან გ. კორკელია, მაგრამ ზემოთთქმულს დავძენთ შემდეგს:

200-ზე მეტი რეცენზია-შეფასება გვაქვს მიღებული ავტორებს, ჩვენს საენათმეცნიერო ნაშრომებზე. ამასთან, მიღებული გვაქვს გამომხაურებანი ათეულობით უცხოეთის ქვეყნიდან. 8 მათგანში მიწვეულებიც ვართ. ყველანი დაბეჯითებით ითხოვენ ამ ნაშრომების თარგმნას და გამოცემას უცხო ენებზე.

„საკაცობრიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „მსოფლიო მნიშვნელობის ნაშრომი“, „გადატრიალება ენათმეცნიერებაში“, ტიტანური ნაშრომი“, „გენიალური ნაშრომი“, „ზეტიტანური ნაშრომი“. „წიგნი გიგანტი“, „სამაგიდო წიგნი“, „ფინტასტიკურიც და საკვირველიც“, „წიგნი, რომელზედაც დისერტაციები დაიწერება, რომელზედაც თაობები აღიზრდებიან“, „უნიკალური ნაშრომი“, „უებრო ნაშრომი“, „დიდი ქართული საქმე“, „წმინდა ქართული საქმე“ ... ეს განათქმევამები, ერთი მცირედი ნაწილია მეცნიერებათა დოქტორებისა, პროფესორების და აკადემიკოსების მიერ წარმოდგენილი რეცენზია-შეფასებებიდან.

სწორედაც ჩვენი საენათმეცნიერო ნაშრომების შედეგად, პირადად მე არჩეული ვარ 8 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსად, მათ შორის, ერთ-ერთის პრეზიდენტად და 5 უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად, ცირა ძაძაძია არჩეულია 5 აკადემიის აკადემიკოსად და 3 უნივერსიტეტის პროფესორად. დანარჩენი ოჯახის წევრი 5 თანაავტორიც არჩეული არიან ერთ-ერთი მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებად.

რატომღაც, გ. კორკელიამ არარად ნაავლო ყოველივე ეს. მან, საკუთარი თავი ჩვენი ნაშრომებისა და ღვაწლის ყველაზე უფრო კარგად და სწორად განმსჯელად წარმოიდგინა და, აბა როგორ არ უნდა გამოეხატა თავისი მოსაზრება?

**მამანტი ძაძაძია,**  
საქართველოს მეცნიერებათა აკადემია „აია“-ს პრეზიდენტი, კოლხური კულტურული მემკვიდრეობის შესწავლისა და დაცვის ასოციაციის პრეზიდენტი, 8 მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ხუთი უნივერსიტეტის საპატიო პროფესორი



# საქინფორმის მთავარი რედაქტორი: აფხაზეთისა და თურქეთის შურნალისტთა კავშირების შეთანხმება – გეოპოლიტიკური სამკუთხედის “საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანი” ჩამოყალიბების შედეგია

(საქინფორმის პრობლემატიკა ახლანდეს განაგრძობს)



2014 წლის 9-12 მაისს აფხაზეთში ჩატარდა თურქეთის შურნალისტთა ფედერაციის საბჭოს 44-ე გენერალური შეკრება და შურნალისტთა პირველი აფხაზურ-თურქული კონგრესი, რომელში მონაწილეობისთვის რესპუბლიკაში 80 თურქი შურნალისტი ჩავიდა.

აფხაზეთის რესპუბლიკის შურნალისტთა კავშირმა და თურქეთის შურნალისტთა ფედერაციამ ხელი მოაწერეს შეთანხმებას თანამშრომლობაზე, რომელიც მოწოდებულია ხელი შეუწყოს საერთო საინფორმაციო პოლიტიკის შემუშავებას, აგრეთვე ერთიანი საინფორმაციო ველის ჩამოყალიბებას.

დოკუმენტს ხელი მოაწერეს აფხაზეთის შურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე ვლადიმერ კაპბაძე და თურქეთის შურნალისტთა ფედერაციის ხელმძღვანელმა ატილა სერტელმა.

“დოკუმენტი ითვალისწინებს ერთობლივი პრესტუჟების, კონფერენციების, პრესკონფერენციების, სემინარების, “შრგვალი მაგიდების” ჩატარებას, სხვადასხვა საჯარო ან საქმიან ღონისძიებაში მონაწილეობას, მათ შორის – აფხაზეთის და თურქეთის სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების წარმომადგენელთა, სამეცნიერო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საექსპერტო პოტენციალის, შურნალისტური და საქმიანი თანასაზოგადოების ჩართვით, ერთობლივი კონკურსების ჩატარებას შურნალისტური ნამუშევრების საუკეთესო პუბლიკაციების გამოსავლენად, ფოტოგამოფენების, თემატური ფორუმების, თათბირების, შეკრებების, სიმპოზიუმების, ტრენინგების, პრეზენტაციების და სხვა ღონისძიებების ჩატარებას”, – იუწყება “რეგნუმი”.

გარდა ამისა, მხარეები მასშტაბის აკრედიტებული წარმომადგენლების საქმიანობაში ერთმანეთისთვის პრაქტიკული დახმარების გაწევასა და მხარდაჭერაზე შეთანხმდნენ.

საქინფორმი შეახსენებს თავის მკითხველებს, რომ ჯერ კიდევ 28 აპრილს, გაზეთ “საგაღ-დასაგაღთან” საქინფორმის მთავარი რედაქტორის ინტერვიუში, აგრეთვე თავის გუშინდელ ინტერვიუში არნო ხიდირბეგიშვილი აფრთხილებს პოტენციურ საფრთხეებზე, რომლებიც საქართველოს მოქალაქის ახალი გეოპოლიტიკური სამკუთხედის – “საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთი” საბოლოოდ ჩამოყალიბების შემთხვევაში, ნაცვლად ტრადიციული სამკუთხედის “საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთი” აღდგენისა, რასაც ხელს უწყობს

ექსპრეზიდენტი სააკაშვილი (ციტატა 12 მაისის ინტერვიუდან):

“ფაშისტმა სააკაშვილმა, რომელსაც პაპის სასამართლო აუცილებლად სასჯელის უმაღლეს ზომას მიუსჯის ცხინვალში, კიევისა და ოდესაში სამოქალაქო მოსახლეობის მხეცურად დახოცვის გამო, მას შემდეგ, რაც რუსეთს კიევის რუსეთი მოსწვევდა, რუსეთს აზერბაიჯანი უნდა გადაჰქვიდოს, რომელსაც, საქართველოსგან განსხვავებით, ნატოში და ევროკავშირში შესვლა არ უნდა! სააკაშვილმა აზერბაიჯანში მდებარეების პროვოცირება უნდა მოახდინოს, რათა რუსეთის უმსხვილესმა ენერგეტიკულმა პარტნიორმა და კასპის ზღვით მეზობელმა უცებ ევრაზიულ კავშირში შესვლა არ იფიქროს, სომხეთს არ შეურთდეს და კავკასიაში ტრადიციული რეგიონული სამკუთხედი “საქართველო-აზერბაიჯანი-სომხეთი” არ აღდგეს”.

საქინფორმი ხაზს უსვამს, რომ არა მარტო სააკაშვილი, არამედ საქართველოს დღევანდელი ხელისუფალიც უწყობენ ხელს გეოპოლიტიკური სამკუთხედის “საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანი” ჩამოყალიბებას, რისი დადასტურებაცაა 7 მაისს, თბილისში სამი ქვეყნის – საქართველოს, თურქეთისა და აზერბაიჯანის პრეზიდენტების შეხვედრა.

შეთანხმება აფხაზეთისა და თურქეთის შურნალისტთა თანამშრომლობის შესახებ სულ რაღაც 5 დღეში დაილო მარგველაშვილის, ალიფეისა და გიულუსი შეთანხმებიდან “თბილისის სამიტ 2014”-ზე სამხრეთი შეხვედრის შემდეგ, ამიტომ დღეს საქართველოს ხელისუფლება, სულ

ცოტა, არაადეკვატურად გამოიყურება, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტროს მეშვეობით უკიდურეს აღშფოთებას გამოთქვამს მართლაც სტრატეგიული შეთანხმების გამო ერთიანი საინფორმაციო სივრცის შექმნის და აფხაზეთისა და თურქეთის “მეთხე ხელისუფლებას” შორის ერთიანი იდეოლოგიის შეთანხმებულად გატარების შესახებ.

ორივეს რა ენერგეტიკულ და ეკონომიკურ სარგებელს (ნავთობ და გაზსადენები, რკინიგზა და სხვ.) კონფიგურაციიდან “საქართველო-თურქეთი-აზერბაიჯანი”, რომელშიც სასიცოცხლოდ არიან დაინტერესებული ევროკავშირი და აშშ, საქართველო ტერიტორიულ დანაკარგებს უნდა შეეგუოს. პროცესებმა თანდათან შესაძლოა ბევრად უფრო ფართო ინტეგრაციული და დეზინტეგრაციული მასშტაბი შეიძინოს, ვიდრე აფხაზი და თურქი შურნალისტების პარტნიორობაა, და შეეხოს საქართველოს რეგიონებს სამცხე-ჯავახეთს და ქვემო ქართლს, აგრეთვე აჭარის ავტონომიას.

საქინფორმი არ შეუძლია მწარედ არ აღნიშნოს, რომ ქართველმა შურნალისტებმა, საქართველოს მრავალრიცხოვანმა შურნალისტთა კავშირებმა აფხაზეთის ტრაგედიის შემდეგ განვლილი 21 წლის განმავლობაში, თურქი კოლეგებისგან განსხვავებით, აფხაზ შურნალისტებთან ელემენტარული პირდაპირი კონტაქტის დამყარებაც კი ვერ შეძლეს.

**არნო ხიდირბეგიშვილი,**  
საქინფორმის მთავარი რედაქტორი

## ბომბი, რომელსაც ნაციონალური არჩევნებამდე რამდენიმე დღით აღრე ააფეთქებენ



რომლებიც საქართველოდან, სავარაუდოდ, დათა ახალაია გაიტანა.

ახალაია ახლა საბერძნეთის ციხეშია და მაქსიმალურად ცდილობს, საქართველოში ექსტრადირება აიცილოს. ვლადიმერ როლანდ ახალაია და აკაკი მინაშვილი იყვნენ ჩასულები და, როგორც წყარო გვამცნობს, ჩანაწერების ადგილსამყოფელი დათამ სწორედ მათ გაანდო. ჩამოიტანეს თუ არა მართლაც ბომბის ეფექტის მქონე ჩანაწერები საქართველოში, ჯერჯერობთ, არავინ იცის, მაგრამ ის, რომ ნაციონალურ ხელში რაღაც უკვე უჭირავთ, ფაქტია.

ამომრჩეველთან შეხვედრისას ყველაზე საგულისხმო განცხადება გიგი უგულავამ გააკეთა.

“შე საჯაროდ ვდებ პირობას, რომ ნაციონალური მოძრაობა ხელისუფლებაში დაბრუნების შემდეგ, არ დაადგება შურისძიების გზას და არ დაიწყებს ოპონენტების დევნას”, – განაცხადა უგულავამ და ამით იმ ყოფილ წევრებსაც მიანიშნა, არაფერს დაგიშვებთ, რომლებიც არჩევნების შემდეგ ნაციონალურ ნაფიქრად “ქართულ ოცნებაში” გადაბარდნენ.

საინტერესო მინიშნება ჰქონდა გიორგი ვაშაძესაც. მან პირდაპირ განაცხადა, ვთავაზობთ იმას, რაც ვიცით და ვცხობ, ამ სიტყვებმა უგულავას განცხადებას ჩრდილი უნდა მიაყენოს. 9 წლის განმავლობაში, ნაციონალურ მოძრაობას შურისძიების, საკუთარი ერის დასჯის, დაპატიმრების, გაუპატიურების, მოკვლისა და სულში ჩაფურთხების მეტი თითქმის არაფერი უკეთებია, და თუ ვაშაძე ამ “თითქმის” იმედად არის, ვერ გეტყვით.

დღე გულზე იყო თენგიზ გუნაგაც, კაცი, რომელსაც სამეგრელოში არაერთი ადამიანი ადებს ხელს და აცხადებს, რომ მოელი რეგიონი ტერორში ჰყავდა, მაგრამ ეს გუნავას ხელს სულაც არ უშლის, პრეტენზია ზუგდიდის გამგებლობაზე ჰქონდეს და მერე რა, თუ გამარჯვების შანსი ნაკლებად ექნება?! მთავარია, მაგანთ ნერვებს მოუშლის და უფრო გააბრაზებს.

თავის დროზე, გიგა ბოკერიას სასამართლოში დაბრუნების შემდეგ, მისმა მეორე ნახევარმა თამარ ჩერგოლეიშვილმა

განაცხადა, ამ ხელისუფლებას ჯოჯოხეთს მოეუწყობო. “ოცნებას” ჯოჯოხეთის მოწყობით “რუსთავი-2”-ის გენერალური დირექტორიც ემუქრება, თუმცა, მას შემდეგ, რაც მისი უწყების ბიძაშვილი პროკურატურა დაინტერესდა, გვარამიამ “ჩაისვარა” და ხაზგასმით აღნიშნა, რომ “ჯოჯოხეთის მოწყობაში” იგულისხმებოდა არა ფართო საზოგადოება, არამედ ის პირები, ვინც ეს ჩანაწერები გააკეთაო. აქედან კი უნდა ვიფარაუდოთ, რომ გვარამია საკუთარი თანაგუნდელებს ემუქრება... ვეჭვობ, ნაციონალური მოძრაობის ლიდერებმა (ახლა არ დამიწყით, ნიკა გვარამია ნაციონალური მოძრაობის წევრი არ არისო) ზუსტად იციან, სად და როდის დაარტყან ხელისუფლებას – კომპრომატებით ომი უკვე დაწყებულია. ამჟამინდელი ხელისუფლება კომპრომატების ომში ჩართვის არ აპირებს, მაგრამ რამდენად დაინდობს მას ნაციონალური მოძრაობა, ძნელი სათქმელია, მით უმეტეს, როგორც ჩვენი წყაროს ამბობს, ახალაიას ხელში არსებული პირადი ცხოვრების ამსახველი კადრები ზედმეტად მაღალ ეშვებზეა მდებარე და მინისტრთა კაბინეტის რამდენიმე წევრსა და ცნობილ პარლამენტარს პირდაპირ ურტყამს. ახლა გენგავთ, პაკიმ ფაშა დაარტყით და გენგავთ ალა მაჰმად ხანი, მაგრამ ფაქტია, უახლოეს მომავალში (მაქსიმუმ 2-3 კვირაში) სოციალურ ქსელებს ახალი კადრები წაღეკავს და... კვრანებს პატარები მოარიდეთ – პოლიტიკური კოპატივაცია პირდაპირი მნიშვნელობით იქნება ნაჩვენები.

**P.S. სხვათა შორის, ადრე დაეწერეთ, თურქეთში მყოფი დათა ახალაია სოსო თოფურაძესა და მის გარემოცვას გაეპარა და ისინი ბედის ანაბარა დაყარაო. მაშინ არ დაგვიჯერებს და ახლა გამოჩნდა, რომ მართლაც ვყოფილყავართ. ჰოდა, კიდევ ერთს დაეწერეთ: სოჭიში მოკალათებული მეგის ქარდავს სამეგრელოს ტერიტორიაზე იყო ჩასული და მხოლოდ ნათესავების მოსანახულებლად რომ არ გასწვედა ამხელა რისკს, თავადაც უნდა მიხედეთ. ბოლოს იგი სოფელ შამგონაში ნახეს და ახლა არ დამიწყით, ვინა ნახა და როდისო.**

თუ ნიკა გვარამიას აქვს უფლება, წყარო არ დაასახელოს, ამ უფლებას მეც ისე ბოროტად გამოვიყენებ, როგორც ბატონი ნიკა იყენებს.

**ბ. იაშვილი**

გაზეთ “ილორი“-ს კომენტარი: ვერა და ვერ იჯერებენ ნაციონალურ, რომ მათ უკვე აღარ გააჩნიათ საზოგადოების მხარდაჭერა და იზოლირებულები არიან საკუთარ განცდებში. გამორიცხულია, რომ ისინი იმ პოლიტიკური კომიდან გამოვიდნენ, რომელშიც 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში აღმოჩნდნენ. თუმცა, არც უნდა გამოვირიცხოთ, რომ გიგი უგულავას ეს პროვოკაციული განცხადება მთლად ილუზორული არ გახლავთ და იგი ეფუძნება უსუფაშვილ-ალაღანას ტოლერანტულ დამოკიდებულებას ნაცებისადმი, რაც აშკარად გამოსჭვივის მათ “ჭუჭუკუში” ბოკერიასა და სხვა პირწავარდნილ ნაციონალურებთან!

მაგრამ ერთ რამეს ვერ ითვალისწინებენ ძალაუფლების დაბრუნების მანიაკალურ სურვილს ბრმად აყოლილი ნაციონალური – უიმედოდ დაგარდნილ მათ რეიტინგს ვერაფერში წაადგება უკანონოდ მოპოვებული ფარული ჩანაწერების გამოშვება (რაც სისხლის სამართლის დანაშაულია) და თუნდაც იმის დემონსტრირება, თუ როგორ “ჯამს ბავშვებს ცოცხალად” ირაკლი ღარიბაშვილი, რომელიც “ამცირებს ჯარისკაცების ღირსებას” ირაკლი სესი-აშვილი და რომელიც “საჯაროდ ითმის ძრთამად აღეშულ ფულს” ზაქარია მუც-ნაშვილი”.

ასე რომ, “რუსთავი-2”-ის მესვეურთა მიერ ანონსირებული “ბომბი” ნაციონალურს აუფეთქდება ხელში და ჩვენც ერთხელ და სამუდამოდ გაეთავისუფლებით ამ უწმინდურებისაგან!

გვარამიას და მის თანამზრახველებს კი ვურჩევთ, უცებ ნუ შეჭამენ იმას, რაც ხელში უკავიათ – ცოტა მწვანელი მანც მოაყარონ, თორემ გაუჭირდებათ, რადგან მათ აშკარად აკლიათ კამოს რეგოლუციური შემართება!



სკორტული კუთხე მიჰყავს შურნალისტ ბიორბი ჯალაღანიას უღა ბგაკლდა... რატომ ჩაუთვალა უფამ საქართველოს ტექნიკური უბემა



საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებს 5 მარტს, გორში, ლუქსემბურგელ თანატოლებთან ნათამაშები 1:1 გაუნულდა - ჩვენს ახალგაზრდებს იმ შეხვედრაში დისკვალიფიცირებული ნიკა კვეკვესკირის თამაშისთვის ტექნიკური წაგება 0:3 ჩაეთვალიათ.

შევიტყვეო, რომ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში ამ ფაქტთან დაკავშირებით 13 მაისს იგეგმება პრესკონფერენცია და რაც ლუქსემბურგთან თამაშისას მოხდა, ყველაფერს წერილ-წერილად სწორედ იქ იტყვიან.

მაშა და ყვეთელი ბარათი მიიღო. შესარჩევის მომდევნო თამაში ალექსანდრე ჩივაძის შევირდებს შინ, პოლანდიასთან ჰქონდათ და გესხობებო, ხასტიკად (0:6) დამარცხდნენ.

ეროვნულმა ფედერაციამ ამა თუ იმ ფეხბურთელის საქმე უფაში გადაამოწმოს. სწორედ შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურმა განყოფილებამ უფადან მიიღო ცნობა, რომ ნიკა კვეკვესკირმა პოლანდიასთან მიღებული წითელი ბარათის გამო დისკვალიფიცია სენტ-მირენის მატჩის გამოტოვებით მოიხადა და უფლება აქვს, მომდევნო შეხვედრაში ითამაშოს.

ბულგარელმა არბიტრმა ნიკოლა პოპოვმა კვეკვესკირი მიმდინარე შესარჩევი შეხვედრაში გააფრთხილა. მთავარი ამბავიც სწორედ ამის შემდეგ მოხდა. სლოვაკეთთან მატჩის შემდეგ საქართველომ ლუქსემბურგს გორში უმასპინძლა. ნაკრების მენეჯერმა ლევან რამიშვილმა სლოვაკეთის შემდეგ უფადან მოსული ცნობა აღარ მოიკითხა და მწერთნელებს აცნობა, რომ ლუქსემბურგთან კვეკვესკირს თამაშის უფლება ჰქონდა, არადა... იმ რეპორტში, რომელიც უფამ ფედერაციაში სლოვაკეთთან შეხვედრის შემდეგ გამოგზავნა, შავით თეთრზე იყო აღნიშნული, რომ სლოვაკეთთან შინ და სტუმრად მიღებული ყვითლების გამო კვეკვესკირი ლუქსემბურგთან მატჩისთვის დისკვალიფიცირებული იყო.

ბარათის გამო შოტლანდიასთან არ ითამაშა, ჩავთვალო, რომ იმ წითელ ბარათთან ერთად სლოვაკეთში მიღებული ყვითელიც იგულისხმებოდა და ფეხბურთელი ბარათებისგან თავისუფალი იყო. თურმე, სლოვაკეთში მიღებული ყვითელი ძალაში ყოფილა და როცა ამას იმავე სლოვაკეთთან მეორე შეხვედრისას მიღებული გაფრთხილება დაემატა, გამოვიდა, რომ ნიკას ლუქსემბურგთან თამაშის უნდა გამოტოვებინა.

ნათია ლაზაშვილის მიმართვა "რუსთავი 2"-ს შურნალისტებს

ნათია ლაზაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ზე არხის მთავარი საინფორმაციო გამომცემის, 9 საათიანი "კურიერის" წამყვანი იყო, დღეისათვის საქართველოს მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტია. ყოფილი ტელეწამყვანი ეხმარება ჩანაწერებს, რომელიც მთავარმა პროკურატურამ გააფრთხილა, და რომელშიც ნათია ლაზაშვილი, თუ როგორ დამონტაჟდა ტელეკომპანიაში ფარული ჩანაწერები.

ბ-ნ იური კაკაშას ხსოვნას



აფხაზეთიდან დევნილმა საზოგადოებამ დიდი დანაკლისი განიცადა - სასიქაღლო მამულში დაიღობა, თავის სამშობლოზე უსომოდ შექვარებული, ინტელიგენტი პიროვნების, იური კაკაშას მშობლიური გარდაცვალების გამო. ბატონი იური იყო სხვადასხვა პუბლიცისტური წერილების, მოთხრობების, ლექსების, საინტერესო წიგნის - "ტრაგედიის" ავტორი, გახეთ "ილორის" ერთგული ავტორი, 2002 წლიდან - კავკასიის ხალხთა მეცნიერებათა აკადემიის წევრი.

მადლობელი და ჯადოსნური, ხელისუფლითი პაწია მიწა, ბიჭვინთის ივერთ-სახატე, ბესლეთზე ხიდი თამარის, დმერეთის ნაკურთხი სხვა მხარე, მეტი ასეთი სად არი? დიერ მეუფეე ამას გთხოვ, დმერთო მადლო წმინდაე! ნუღარ მა შორებ, მადირსე, სამურზაყანოს მიწა.

ტოვა. მე მესმოდა მისი, ერთი ტკივილით გვაწუხებდა, ერთნირად განვიცდიდით ოდაბადეს დაკარგვას... დიდი დრო გავიდა მაგრამ ტკივილი ვერ მოგვიშუშდა, დაბრუნების იმედი გაიბზარა. პატარა იმედის ნაპერწკალმა ჩვენგან შორს გადაინაცვლა, მაგრამ არ ჩამქრალა. დავილალო, მაგრამ არ ვნებდებით. გული ჯიუტობს. რამდენი რამ გადავიტანეთ. დავკარგეთ მშობლები, ახლობლები, მეგობრები, მე და ბევრმა სხვამ შვილი ან შვილებიც კი. ასაკიც წამოგვეწია და ნოსტალგიით, მონატრებით და მოგონებებით ვაგრძელებთ ცხოვრებას იმ პატარა იმედის ნაპერწკალთან ერთად.

აეროს ნაძენარ-ფიჭენარი, სათანჯოს ბადრი მთვარეო, იმ შენი მიწის სურნელს და ორთქლცვარნამს ვენაცვალეო. ჩემთა წინაპართ საფლავი სათუთად შემინახეო, უმორჩილესად ერთსა გთხოვ, შენს მიწას მიმბარეო! „ოცი წელი უშენობით, საუკუნე განელე თითქოს, თუმც ფიჭვებით შენთან ვარ, შენს მიწაზე დავალ ვითომ ანდერძს ვტოვებ, როს მოვევლები, ვინც მიცნობს და ვინც არ მიცნობს, სხვა მიწა არ დამაყაროს, მე სხვა მიწას მეგდარიც ვიცნობ!“ ბატონი იურის აფხაზეთში გადასვენება ვერ ხერხდებოდა, გარკვეული მიზეზების გამო. სასაფლაოზე ვილაცამ დაიძახა: „მიწა! მიწა! აფხაზეთის მიწა!“-ო. ახალგაზრდა ბიჭმა მუჭით ქვეშადა დაუფინა აფხაზეთიდან უბით გამოტანილი მიწა... შვებით ამოვისუნთქე და უხმოდ გავცილდი იქაურობას. ვფიქრობ თქვენი ანდერძი ნაწილობრივ მაინც შესრულდა, ბატონო იური... რიმა ლაცუზაბია-აგლოთია

შვა ჩასვლის შედეგად მნათობად რჩება

ნათია ლაზაშვილი, რომელიც წლების განმავლობაში ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ზე არხის მთავარი საინფორმაციო გამომცემის, 9 საათიანი "კურიერის" წამყვანი იყო, დღეისათვის საქართველოს მთავრობის საზოგადოებასთან ურთიერთობის კონსულტანტია. ყოფილი ტელეწამყვანი ეხმარება ჩანაწერებს, რომელიც მთავარმა პროკურატურამ გააფრთხილა, და რომელშიც ნათია ლაზაშვილი, თუ როგორ დამონტაჟდა ტელეკომპანიაში ფარული ჩანაწერები.



დაუნდობლად სწრაფად გარბის დრო - ორმოცი დღე გასულა მას შემდეგ, რაც სამუდამო სასუფეველოში დაიმკვიდრა ბინა ქალბატონმა ნუცა ჭაჭიამ - ღვაწლმოსილმა ადამიანმა, რესპუბლიკის დამსახურებულმა ექიმმა, დიდი სამამულო ომის ვეტერანმა, ქართული პათოლოგოანატომიური სკოლის ერთ-ერთი ფუძემდებელმა, იმ სკოლისა, რომელმაც არაერთი ღირსეული ადამიანი და პროფესიონალი აღზარდა სამშობლოს. მისმა გარდაცვალებამ ყველას, ვინც კი მას იცნობდა, გული დასწვიტა. ყველას მოაკლდა მისი მადლიანი ხელი და გულის სითბო და დარჩა მხოლოდ სევდიანი მოგონება კეთილშობილ, უადრესად თბილ და უღამაზეს ქალბატონზე. მაგრამ მზე ხომ ჩასვლის შემდეგაც მნათობად რჩება...

ISSN 1987-8966 ilori. რედაქციის მისამართი: თბილისი, ბაქრაძის ქუჩა №8, საკრ. №01018002930, 234-32-95. მთავარი რედაქტორი: ტექნიკური რედაქტორი: ბაზუბაძის რედაქტორი: სარედაქციო საბჭო: როლანდ ჯალაღანია, მიხეილ ჩოლოყაშვილი, ზურაბ ტოტალაია 599-34-37-27. გაზეთი "ილორის" გაცნობა შეგიძლიათ "საქინფორმის" ვებგვერდზე WWW.saginform.ge